სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 მარტი 2008 №060 (3284) ფასი 50 თეთრი



პირდაპირი წილისყრა

დინამო ზესტაფონი ამერი ბორჯომი

ნახევარფინალურ წყვილებს ყველა ერთად შევიტყობთ

თუ გიყვარს, თავს ზემოთ ახტები

ინტერვიუ რატი ალექსიძესთან



მომეცით ხუთი მეტრი

დევიდ ბეჭემი პასს, საიდანაც გნებავთ, გააკეთებს

გვინდა ქართული ფეხბურთის წინსვლა? მაშინ ვთქვათ: თამაში ჩაწყობილია!

18 მარტი, დიდი იმედი გვაქვს, ისტორიული იქნება ქართული ფეხბურთისთვის.

დღეს არც საქართველოს ჩემპიონის გამოვლენას ველოდებით, არც თასის მფლობელისას და არც ეროვნულ ნაკრებს აქვს უპრინციპულესი მატჩი — დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის მექანიზმი უნდა შეიმუშავოს.

ფედერაციამ და პროფლიგამ რაგინდ ნაბიჯები გადადგას ჩვენი ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის, რაგინდ ეცადოს, გულშემატკივართა მიზიდვას სტადიონებზე, მოაწყოს წამახალისებელი ლატარეები და ჩაბას პროპაგანდაში ტელევიზია, ყველაფერი ამაო და ფუჭი იქნება, რადგან არ გვეგულება გულშემატკივარი, საკუთარი დროის დახარჯვას რომ ინებებს გარიგებული თამაშის სანახავად, ხოლო ტელევიზორში ასეთი თამაშის მნახველს არასდროს გაუჩნდება სტადიონზე მისვლის სურვილი, რამდენიც უნდა უმტკიცო, რომ ის თამაში უიშვიათესი გამონაკლისი იყო, მატჩების უმრავლესობა კი პატიოსან ბრძოლაში ტარდებაო.

მოკლედ, დღეს ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომაა და, გუშინაც ვთქვით: ასეთი ინტერესით და იმედით აღმასკომის არც ერთ სხდომას არ დავლოდებივართ. ჩვენი უპირველესი მოლოდინი კი ის არის, რომ აღმასკომი მოლოდინს არ გაგვიცრუებს.

ზესტაფონი გამონაკლისს ითხოვს

გიორგი მაკარიძე ილია კოკაიას სურვილს არ აღასტურებს



ალბომ ოფიციალური ცოდნა

დიდი შანსია, „ზესტაფონმა“ ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე, მეკარე გიორგი მაკარიძე შეიძინოს. მაკარიძის ამბავი მოგეხსენებათ: ის თბილისის „დინამოს“ ეკუთვნის, მაგრამ თამაში არ უწევს. პირველ გუნდში კი არა, „დინამო 2“-შიც მხოლოდ ვარჯიშობს...

„ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ კი გვითხრა, რომ მაკარიძის ტრანსფერი, სავარაუდოდ, დადებითად გადაწყდება.

„თბილისის „დინამოსთან“ უკვე მოლაპარაკებულნი ვართ. მგონი, არც მაკარიძეა ჩვენთან გადმოსვლის წინააღმდეგი. ახლა მთავარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინოს გიორგის მდგომარეობა და გუნდის შეცვლის უფლება მისცეს: ახლა ხომ სატრანსფერო ფანჯარა უკვე დახურულია. 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდია — საქართველოს მატჩზე ვაპირებ წასვლას და ცხადია, გიორგის იქაც დაველაპარაკები“.

ჩვენ მაკარიძესაც დავუკავშირდით და უცნაურია, მაგრამ სავარაუდო ტრანსფერი არ დაგვიდასტურა.

ილია ნანობაშვილი

თუ გიყვარს, თავს ზემოთ ახტები
ალექსიძემ ბევრი იარა, ბევრი იარა გადაიტანა

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა რატი ალექსიძე. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მისი ხელახალი დაბრუნება 8 მარტს ბორჯომში ახალციხის „მესხეთისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ მატჩისას მოხდა. გუშინწინ კი ალექსიძე „ზესტაფონთან“ მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე და თბილისელთათვის ქულის მომტანი გოლიც გაიტანა. გუშინ რატი ალექსიძე რედაქციაში ვისტუმრეთ და, ვფიქრობთ, საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა...

ვ.ზარაძე დოლენაძეების ფოტო

რატი ალექსიძის სუპერგოლი

— სამ წელზე მეტია, რაც ფეხბურთს იყავი ჩამოშორებული და ახლახან დაბრუნდი. რით იყო გამოწვეული ასეთი დიდხნიანი პაუზა?

— ბოლოს „როსტოვში“ ვთამაშობდი და იქ საქმეები არ ამეწყო. თავიდან ყველაფერი ნორმალურად იყო, შემდეგ ვითარება აირია, იმ პერიოდში მამა გარდამეცვალა და, წარმოიდგინეთ, მშობლის ორმოცზე არ გამომიშვა კლუბის პრეზიდენტმა. ამ ყველაფრის გამო იქ აღარ გავჩერდი, თბილისში ჩამოვედი და... ავარიაში მოვყევი, მძიმე ტვინის შერყევა მქონდა. პრობლემები არ მელეოდა, „როსტოვი“ კი პრინციპულად არ მიშვებდა სხვა გუნდში, არადა, რამდენიმე ვარიანტი მქონდა. ამ უფეხბურთო წლებმა ძალიან სწრაფად ჩაიარა და ამას რომ ვფიქრობდი, გიჟს ვგავდი.

— რამ გადაგაწყვეტინა ფეხბურთში დაბრუნება?

— პირველ რიგში ფეხბურთის სიყვარულმა. ჩემს გვერდით მყოფი ადამიანები და ოჯახის წევრები დაჟინებით მთხოვდნენ, ფეხბურთში დავბრუნებულიყავი და ღმერთის მადლით, ეს შევძელი. რომ დავინახავდი ვინმე ფეხბურთს თამაშობდა, მეც მიჩნდებოდა მის ადგილზე ყოფნის სურვილი.

— სანამ „ლოკომოტივში“ მიხვიდოდი, სომხურ „მიკაში“ ვარჯიშობდი. იქიდან რატომ წამოხვედი?

— მოსამზადებელი პერიოდი ნორმალურად გავიარე — მე, ვიტალი დარასელია და მიხეილ ბობოხიძე ერთად ვიყავით. შემდეგ შევხვდით კლუბის პრეზიდენტს და ისეთი პირობები შემოგვთავაზა, სასაცილო იყო.

— და „ლოკომოტივში“ აღმოჩნდი?

— მწვრთნელები, გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარიძე ჩემი მეგობრები არიან. აქ ვარჯიში დავიწყე, კლუბის ხელმძღვანელებიც საქმის კურსში იყვნენ და ცოტა ხანში შევთანხმდით, რომ მაისამდე „ლოკომოტივში“ დავრჩებოდი.

— პირველად ბორჯომში ითამაშე „მესხეთთან“ — გაგიჭირდა?

— რა თქმა უნდა, ძნელი იყო. თუმც მალევე გავშინაურდი. რომ იტყვიან, თავს ზემოთ ვხტები და ისე ვთამაშობ. ძალიან მინდა, ფორმა აღვიდგინო და ამისთვის თავს არ დავზოგავ.

— „ზესტაფონთან“ კი შეცვლაზე შეხვედი და გოლიც გაიტანე...

— მე და ვიტალი დარასელია კარგად ვუგებთ ერთმანეთს. სანამ თამაშში ჩავერთვებოდი, ვამბობდი, ვიტალი პასს მომცემს და გავიტანო. ასეც მოხდა. დარასელიასნაირი პასის გამცემი იშვიათია.

— როგორ ფიქრობ, ადრინდელთან შედარებით ეროვნული ჩემპიონატის დონე დაეცა?

— სამწუხაროდ, უკუსვლა უფრო შეიმჩნევა. ბევრი რამე უნდა შეიცვალოს. საქართველოში ელემენტარული პირობები არ არსებობს — მინდორი არ გვაქვს, შხაპის მიღება პრობლემაა, ბურთი და ბუცი არ აქვთ გუნდებს... ეს თუ არ მოგვარდა, წინ ვერ წავალთ. დიდი პრობლემაა ისიც, რომ ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი და აქ ფეხბურთელები აღარ დარჩნენ. მაყურებელიც არ დადის სტადიონზე და მათ გარეშე ფეხბურთი კი ჯოჯოხეთია.

— ალბათ გულის სიღრმეში საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაზეც ფიქრობ...

— ჯერ ფორმა უნდა აღვიდგინო. ჩემს შემთხვევაში ამაზე ფიქრი ნაადრევია.

— კარიერაში ბევრ მწვრთნელთან გიმუშავია და საუკეთესოდ რომელს მიიჩნევ?

— „დინამოს“ ხორავტ მწვრთნელ ივო შუშაკს — ძალიან კარგი მწვრთნელი და პიროვნებაა. მასთან მუშაობა ერთი სიამოვნება იყო. შუშაკის თანაშემწე ნესტორ მუმლაძეც მინდა ვახსენო — ეს კაცია ჩემი აღმზრდელი. ფეხბურთში რომ დავბრუნდი, მუმლაძის დამსახურებაცაა.

— რამდენიმე წელი ლონდონის „ჩელსის“ მეორე გუნდში იყავი, სადაც შენი თანაგუნდელები იყვნენ კუდიჩინი, ტერი, გუდიონსენი... ის წლები როგორ გახსენდება?

— ზღაპრული წლები იყო. ინგლისის პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესოა, იქ ფეხბურთის მიმართ ფანტასტიკური მიდგომაა. ბავშვებს ინგლისში რამხელა სტიმულს აძლევენ, იცით? თავის ვარჯიშს რომ დაასრულებს, შემდეგ ძირითადი გუნდის ვარჯიშებს უყურებს. ვარსკვლავები პატარებს დიდ ყურადღებას აქცევენ, მაისურებს ჩუქნიან, სურათებს იღებენ და ბავშვებისთვის ყოველი დღე ზეიმია.

— და რა რჩევას მისცემ დამწყებ ფეხბურთელებს?

— მთავარია, უყვარდეთ ფეხბურთი. რაიმეს რომ მიაღწიო, ბევრი უნდა იშრომო. წინააღმდეგობა იქნება, თუმცა არა ისეთი, რომ ვერ დაძლიო. ნიჭს ხელი უნდა შეუწყო და აუცილებლად დაგიფასდება.

ნუკრი ლოლაძე

პირველად!
თასის წილისყრა პირდაპირ ეთერში

კომპანია „კოლხიდა“ საქართველოს ჩემპიონატს და თასის მატჩებს რომ აშუქებს, გეცოდინებათ. ყველა აღნიშნავს, რომ ეს ძალიან კარგი წამოწყებაა და ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს.

დღეს 13 საათზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში საქართველოს თასის ნახევარფინალის კენჭისყრა ჩატარდება.

შეგახსენებთ: ნახევარფინალში არიან „ამერი“, „დინამო“, „ზესტაფონი“ და „ბორჯომი“.

დღეს ტელემაყურებლებს კომპანია „კოლხიდა“ სასიამოვნო სიურპრიზს შესთავაზებს — პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში საქართველოს თასის წილისყრა პირდაპირ ეთერში გადაიცემა. როგორც პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა გვითხრა, წილისყრის დასრულების შემდეგ გუნდების წარმომადგენლებსა კომენტარებსაც შესთავაზებენ „მზის“ მაყურებელს.

ნუკრი ლოლაძე

ჩერნოგორიის ბევრი იჩი

ჩერნოგორიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზორან ფილიპოვიჩმა, იმ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, რომლებსაც 26 მარტს ნორვეგიის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად უხმო.

მეკარეები: *ვუკაშინ პოლექსიჩი (დებრეცენი, უნგრეთი), დარკო ბოყოუიჩი (პარტიზანი, სერბეთი);*

მცველები: *რისტო ლაკიჩი (პარტიზანი, სერბეთი), სავო პავიჩევიჩი (ვოივოდინა, სერბეთი), მილან ივანოვიჩი (უნივერსიტატია, რუმინეთი), ივან ტანასევიჩი (დინამო, რუსეთი), დეიან ოგნიენოვიჩი (ეშტორილი, პორტუგალია), ნიკოლა ვუჩევიჩი (ბუდუჩნოსტი);*

ნახევარმცველები: *ბრანკო ბოშკოვიჩი (რაპიდი, ავსტრია), ნიკოლა დრინჩიჩი (ამკარი, რუსეთი), მილორად პეკოვიჩი (მაინცი, გერმანია), მიტარ ნოვაკოვიჩი (ოფკა, სერბეთი), ვლადიმირ ბოყოვიჩი (რაპიდი, რუმინეთი), სიმონ ვუჯჩევიჩი (სპორტინგი, პორტუგალია);*

თავდამსხმელები: *მირკო ვუჩინიჩი (რომა, იტალია), იგორ ბურზანოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), დრაგან ბოგავაცი (პადერბორნი, გერმანია), რადომირ დიალოვიჩი (რიეკა, ხორვატია), სტევან ოვეტჩიჩი (პარტიზანი, სერბეთი).*

ნორვეგიას ჩერნოგორიელები დეკემბერში პოდგორიცეში უმასპინძლებენ.

საქართველოს 19 ჩემპიონატი
პირველი ლიგა — 18 ტური

აღმოსავლეთი

გაგრა 1:2 კახეთი
ნ. დინ-მერანი 2 1:1 ოლიმპიკი
ოლიმპი 2 0:0 დინამო 2
ამერი 2 1:2 ჩიხურა
მეშაძრე 0:0 ვიტ ჯორჯია 2

გაგრა	18	10	5	3	38:28	35
დინამო 2	18	10	5	3	28:14	35
ვიტ ჯორჯია 2	18	8	5	5	26:15	29
მეშაქრე	17	8	5	4	25:17	29
ჩიხურა	18	8	5	5	28:24	29
ოლიმპი 2	18	7	5	6	25:19	26
კახეთი	18	7	4	7	29:28	25
ამერი 2	17	6	2	9	28:31	20
ოლიმპიკი	18	3	4	11	23:38	13
ნ.დინ-მერანი 2	18	0	4	14	17:53	4

დასავლეთი

მეშახტე 1:2 მაღაროელი
ხობი 3:1 სამტრედია
მარტვილი — ჯოლხეთი გადაიდო
ტორპედო 0:1 ზესტაფონი 2

მაღაროელი	18	16	2	0	41:12	50
ზესტაფონი 2	17	9	2	6	27:16	29
მარტვილი	17	8	4	5	23:16	28
მეშახტე	17	9	0	8	29:29	27
ჯოლხეთი	17	7	5	5	23:19	26
ტორპედო	18	7	4	7	27:25	25
ხობი	18	6	5	7	23:23	23
უნივერსიტეტი	17	6	3	8	16:17	21
სამტრედია	17	2	3	12	17:40	9
ფაზისი	18	2	2	14	17:46	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ლიგა
დასავლეთი ზონა
მე-12 ტური

ტორპედო 2 0:2 ბაია

ბაია	12	9	2	1	26:10	29
გურია	12	8	3	1	21:10	27
მარტვილი 2	12	7	2	3	26:15	23
იბერია XXI	12	6	1	5	15:17	19
გაგრა 3	12	5	3	4	17:14	18
სჭური	12	5	2	5	22:16	17
იმერეთი	12	3	3	6	14:17	12
მაღაროელი 2	12	3	3	6	9:15	12
მარგვეთი	12	3	3	6	19:25	12
ტორპედო 2	12	2	5	5	8:14	11
მერცხალი	12	2	4	6	8:17	10
ბათუმი 2	12	3	1	8	10:25	10

ინგლისი
პრემიერლიგა. XXX ტური
ბირმინგემი 1:1 ნიუკასლი

იტალია
სერია C/A. XXVII ტური
სასუოლო 1:2 კრემონეზე

გერმანია
II ბუნდესლიგა. XXIV ტური
ფრაიბურგი 1:0 კიოლნი

საფრანგეთი
II დივიზიონი. XXVIII ტური
გენიონი 1:1 ნანტი

პორტუგალია
სუპერლიგა. XXIII ტური
სპორტინგი 4:1 ნასიონალი

დანია
სუპერლიგა. XIX ტური
მიდტიულანდი 1:0 ნორდსიელანდი

შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XXIII ტური
ბელინცონა 3:3 ვინტერთური

ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XXI ტური
ბოლესლავი 1:4 სპარტა

არგენტინა
კლაუსურა. VI ტური
ურაკანი 0:0 ბოკა ხუნიორსი
ოლდ ბოისი 4:1 არსენალი

მექსიკა
კლაუსურა. X ტური
სანტოსი 1:3 ხაგუარესი
კრუზ ასული 2:2 ამერიკა

ჩილე
აპერტურა. XI ტური
უნივ. დე ჩილე 4:1 ოსორნო
ო ჰიგინსი 2:1 რეინჯერსი

საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 17 ტურიდან

„მერანი“ 0:2 „დინამო“. ლაშა ჯანგიძის (მარჯვნივ) დარტყმული დიდი ოვონომ ვერა, მაგრამ ხარიხამ კი მოიგერია

„სიონი“ 0:0 „ამერი“. ბოლნისელი შოთა ჯიქიას დარტყმული საგოლე არ გამოდგა

ვინც მოსულა, გაუმარჯოს!

სტუმარი ღვთისა და სამი ქულისაა

საკვანძო მომენტები, ლამაზი გოლები, საეჭვო მატჩები და... რა ვიცი, კიდევ სხვა რა ვთქვათ: ყველაფერი იყო განვლილ ტურში, რომელმაც სტუმრებისთვის გაისროლა — შვიდი თამაშიდან, ანუ 21 შესაძლებელი ქულიდან მასპინძლებმა მხოლოდ 3 აიღეს, თანაც არც ერთს არ მოუგია. სტუმართმოყვარეობაც ამას ჰქვია...

ტურის საკვანძო მომენტი კი კვირას, „მერანის“ სტადიონზე მატჩის 85-ე წუთზე ვიხილეთ, როცა მასპინძელმა ლაშა ჯანგიძემ „დინამოს“ კარის ხარიხა აატორტმანა. არადა, გოლი რომ გასულიყო, 1:1 გახდებოდა და ვეჭვობთ, ლიდერს მცირე დროში გადამწყვეტი გაეტანა. კი გაიტანეს მეორე დინამოელებმა ბოლოს, მაგრამ ეს გადამწყვეტი აღარ იყო...

მოკლედ, ჯანგიძის დარტყმული რომ სანტიმეტრებით ქვემოთ წასულიყო, ცხრილში ორხელისუფლიანობა იქნებოდა.

ჰო, „დინამოს“ დამწინაურებელი დავით ოდიკაძე კი პატრულს ძალიან ჰყვარებია: პოლიციელები მოედნის გარედან რუპორით ამხნევებდნენ „ოდოს“ და გოლიც ხმურიანად მიულოცეს.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც წლეულს ოთხივე მატჩი მოიგო, „ვიტ ჯორჯიაა“, არადა, მაინცდამაინც სუსტი მეტოქეები არ ჰყოლია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნესტორ მუძლაძის გუნდმა „ზესტაფონთან“ უკვე მოითავა თამაში და დინამოელებს კიდევ საბრძოლო აქვთ, ეს კიდევ უფრო ანათებს ვიტელთა საჩემპიონო შანსს.

პაატა დათუნაიშვილის გატანილმა რუსთავში მოაგებინა ვიტელებს — მართალია, „ოლიმპს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ არ გვგონია, სტუმრებს ეს დიდად ანაღვლებდეთ.

უკრაინელი ანატოლი პისკოვეცის გუნდს კი, შესაძლოა, მეოთხე ადგილი უკან დარჩენოდა, თუკი „ამერი“ ბოლნისში მოიგებდა, მაგრამ... ეგებ, 0:0 ზედგამოჭრილად ჩაგვეთვალა „სიონი“ — „ამერის“ მატჩისთვის, თუმც ისიც სათქმელია, რომ გლდანელთა გიორგი დავითნიძის თავურის შემდეგ მასპინძელთა მცველმა გიორგი ოქროპირიძემ აშკარად ხელით ითამაშა და პენალტი უნდა დანიშნულიყო. არადა, მსაჯი ოთარ ხეცაძე მომენტთან ახლოს იდგა და წესით, უნდა დაენახა ეს ეპიზოდი, რის გამოც „ამერი“ დაიჩაგრა...

ვის აწყენინა ამ ტურმა ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა, „ზესტაფონს“, რომელმაც „მიხეილ მესხზე“ გაბონურ-ბრაზილიური კომბინაციით გატანილი გოლით დაიწყო, მაგრამ მეორე ტაიმში გამოვიდა „ლოკომოტივის“ რატი ალექსიძე და მშვენიერი გოლით 1:1 გახადა.

გახსოვთ, ბოლოს როდის შეაგდო ალექსიძემ ოფიციალურ მატჩში?

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფორვარდი თითქმის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ფეხბურთს და, როგორც ჩანს, ეროვნული ჩემპიონატის დონეს ეტოლება.

„ლოკომოტივი“ ბოლოდან მესამე, ხოლო „ზესტაფონი“ თავიდან მესამე ადგილზეა. ფეროელებს უკვე ძალიან გაუჭირდებათ საჩემპიონო ბრძოლა, „დინამოსთან“ 6 ქულას აგებენ და ალბათ, ტრიდიციას არ უნდა ულალატონ და თასზე უფრო გააკეთონ აქცენტი.

უგოლო ფრე იყო გორში, სადაც მოგება „სპარტაკს“ უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სტუმარ ზუგდიდის „მგლებს“, მაგრამ ცხინვალელებიც არ უნდა იყვნენ მთლად უკმაყოფილონი — სამქულიანი ჰანდიკაპით დაშორდნენ საშიშ ზონას.

კიდევ რა მოხდა საინტერესო და, აუტსაიდერი შეიცვალა...

„ბათუმმა“ ბორჯომში აურაცხელი საგოლე მომენტიდან ორი გამოიყენა და ეს ეყო მოსაგებად, თუმც არ იფიქროთ, რომ ზღვისპირელები დამაბნეველ-შოკისმომგვრელ შეტევებს ახორციელებდნენ — არა, უბრალოდ, „ბორჯომი“ „რატიძეაც“ იდგა და ყველაფრის ნებას აძლევდა სტუმარს.

აი, ახლა უკვე ფსკერზე მყოფ გორის „ილას“ კი დასადგომად არ ჰქონდა საქმე, მაგრამ ძალა არ ეყო „მესხეთის“ დასაჩოქებლად. ახალციხელებმა წლეულს პირველი მოგება მიითვალეს, „დილამ“ კი, მგონი, ხელი დაგვიქნია...

ილია ნანობაშვილი

ლოკომოტივი 1:1 ზესტაფონი
ოლიმპი 0:1 ვიტ ჯორჯია
დილა 0:1 მესხეთი
ბორჯომი 1:2 ბათუმი
სიონი 0:0 ამერი
მერანი 0:2 დინამო
სპარტაკი 0:0 მგლები

დინამო	17	15	0	2	44:9	45
ვიტ ჯორჯია	17	14	1	2	31:9	43
ზესტაფონი	17	12	3	2	32:10	39
ოლიმპი	17	9	3	5	17:12	30
ამერი	17	9	2	6	26:18	29
ბორჯომი	17	8	4	5	22:17	28
მესხეთი	17	7	3	7	17:22	24
მგლები	17	7	2	8	16:19	23
სიონი	17	5	5	7	20:20	20
სპარტაკი	17	4	4	9	7:18	16
მერანი	17	4	1	12	8:27	13
ლოკომოტივი	17	3	3	11	10:24	12
ბათუმი	17	2	3	12	8:31	9
დილა	17	1	4	12	7:29	7

ბომბარდირები

11 - მ. ხუციშვილი *დინამო*
მ. მერებაშვილი *დინამო*
8 - მ. ნოდ. ჯელიძე *ზესტაფონი*
ზ. იოანიძე *ზესტაფონი*

მეთვრამეტე ტური

21 მარტი, პარასკევი
ბათუმი – მერანი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ამერი – ბორჯომი
ზესტაფონი – დილა
22 მარტი, შაბათი
მგლები – ლოკომოტივი
დინამო – სპარტაკი
მესხეთი – ოლიმპი

სიმბოლური ნაკრები

კახა და ნატალია

ნატალია ვორონა და კახა კალაძე ანდრეი შევჩენკოსთან და კრისტენ პაზიკთან ერთად

მის უკრაინის მსუბუქი ინტერვიუ

როგორია კახა კალაძე მოედანს გარეთ

ნატალია ვორონა ყოფილი „მის უკრაინაა“, ამჟამად საზოგადოებრივ ორგანიზაცია „კრასუნია ზაკარპატიას“ პრეზიდენტია... რითია ეს ქალბატონი საინტერესო ქართველებისთვის? იმით, რომ უკრაინელ ჟურნალისტებს „მილანის“ ქართველ მცველ კახა კალაძესთან რომანის თაობაზე უამბო. კალაძე მსოფლიო ფეხბურთში ყველასთვის ცნობილი გვარია და მის სასიყვარულო ისტორიას გულგრილი სულაც არ დაუტოვებია ევროპელი ქომაგები. ჩვენც გადავწყვიტეთ, 24 წლის ნატალია ვორონას ეს ინტერვიუ შემოგთავაზოთ...

— სად გაიცანით კახა?

— ჩვენი გაცნობა საკმაოდ საინტერესოდ შედგა — ერთ-ერთ კიევურ რესტორანში ბილიარდს ვთამაშობდი იანა მელაძესთან ერთად. როდესაც სახლში უნდა დავბრუნებულიყავი, კალაძემ საკუთარი მანქანით წაყვანა შემომთავაზა. თუმცა უარი ვუთხარი და გამვლელი მანქანის „დაჭერა“ მოვინდომე. ჩემს ჯინაზე არც ერთმა მძღოლმა არ გამიჩერა. ამ დროს კი წვიმა წამოვიდა და იძულებული გავხდი, კახას შემოთავაზება მიმეღო. მას შემდეგ ექვსი წელი ერთად ვიყავით.

— ბევრი თქვენს ურთიერთობას, როგორც ზღაპარს, ისე აღიქვამს...

— არავითარი ზღაპარი არ ყოფილა, ეს ურთიერთობა ტრაგიზმის ზღვარზე ვითარდებოდა. ჩვენ ერთად გადავიტანეთ კახას ძმის გატაცებით და მკვლელობით გამოწვეული საშინელი დეპრესია. იმ პერიოდში კახა ზოგჯერ ვერც ლაპარაკობდა, საკუთარი ტკივილის სიტყვებით გადმოცემა არ შეეძლო. იმ დროს კალაძე იტალიაში სათამაშოდ ახალი გადასული იყო და ადაპტაციის პერიოდს გადიოდა. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით სასტუმროში. მოგვიანებით მივხვდი, რომ ამ შემთხვევამ, როგორც მისი, ასევე ჩემი ბედი დაანგრია.

— ასეთი დეპრესიიდან გამოსვლა როგორ მოახერხეთ?

— კახამ პარიზში წამიყვანა. ივი, უბრალოდ, მოვიდა და მითხრა, „წავედით, საყვარელო“. მე არ მიკითხავს, სად ან რისთვის მივემგზავრებოდით. მას სურდა, ჩემთვის დღესასწაული ეჩუქებინა, რაზეც უარის თქმა შეუძლებელი იყო. პარიზში სამი დღე გავატარეთ...

— ფეხბურთელთან ურთიერთობა რთულია?

— მუდმივად მიწევდა მისი ლოდინი, როდის დაბრუნდებოდა ვარჯიშიდან ან შეკრებიდან. ასევე ხშირად დავდიოდი სტადიონზე. მართალია, ფეხბურთში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ კახას ყოველთვის გულმხურვალედ ვქომაგობდი. სხვათა შორის, ანდრეი შევჩენკოს ცოლი კრისტენ პაზიკი დიდი გულშემატკვარია და არც ერთ მატჩს არ აცდენდა.

— და ანდრეი შევჩენკოს ოჯახთან საერთო ენა ადვილად გამონახეთ?

— რა თქმა უნდა. მე თვალს ვადევნებდი შევჩენკოსა და პაზიკის ურთიერთობის განვითარებას. ჩვენსა და შევჩენკოს სახლს სკვერი ჰყოფდა. იქ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვსეირნობდით ან ვვახშმობდით.

— კალაძემ საკუთარი ოჯახი თუ გაგაცნოთ?

— სამწუხაროდ, არა. საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ. იგი ჩვენს ურთიერთობას მშობლებს არ უმხელდა. აქ თავისი როლი ქვეყნების კულტურებს შორის განსხვავებამაც იქონია. მე მასზე უფროსი ვიყავი, განათხოვარი, ბავშვიანი... ყოფილი ქმარი, რომელიც დეპუტატი გახლდათ, ყოველთვის ცდილობდა ჩემთვის ხელი შეეშალა. კახა ძალიან თავშეკავებულია და ხალხში თავის ემოციებს არ ავლენდა. ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში ჩემთვის ხელის ხელზე ჩაკიდებასაც კი ერიდებოდა, რათა სხვებს არ ეფიქრათ, რომ უგონოდ იყო შეყვარებული და მასზე დიდი გავლენა მქონდა.

— რთული ხასიათი აქვს?

— ზოდიაქოთი კახა თევზებია, რომლებისთვისაც ორმაგი სტანდარტია დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, ერთ რამეში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი — ის ძალიან კეთილი და მზრუნველი ადამიანია. თუმცა რაიმე „გასაგიჟებელი“ საჩუქარი არასოდეს გაუკეთებია. ყოველთვის მეუბნებოდა — „რაში გჭირდება, ძვირფასო? შენ ხომ ყველაფერი გაქვს, რაც საჭიროა“. ასეთია, აღმოსავლური ფილოსოფია.

— რატომ დაშორდით?

— მინდოდა, რომ ივი მოქცეულიყო ისე, როგორც დიდი ადამიანი. მე ოჯახის შექმნა და ბავშვების ყოლა მინდოდა. თუმცა მისი ძმის ტრაგედიის შემდეგ ყველაფერმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ის ძალიან ახალგაზრდა იყო და პასუხისმგებლობის ეშინოდა. უკეთესი იქნებოდა, თუ კალაძე „არას“ პირდაპირ მეტყოდა და ჩვენ ერთმანეთს, როგორც ახლობლები, ისე დავშორდებოდით. ის, უბრალოდ, ვერ ხვდებოდა, რა ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. დაშორების ინიციატორი მე გავხდი, რადგან არ შემეძლო მომლოდინეს პოზიციაში ყოფნა.

— ცოტა ხნის წინ კახამ დაბადების დღე კიევში გადაიხადა. იუბილე არ მიულოცეთ?

— მაშინ კიევში არ ვიყავი. კახას დავურეკე და სიყვარულთან ერთად, ბედნიერება ვუსურვე.

— ის თუ გილოცავთ დღესასწაულებს?

— სხვათა შორის, დაბადების დღეზე ორი, თითქმის ერთნაირი თაიგული მივიღე — 25 თეთრი ვარდი ჩემმა პირველმა ქმარმა ნესტორ შუფრიჩმა მაჩუქა, ხოლო 25 წითელი ვარდი — კალაძემ.

კობი რისკს მოერიდა

ხვალიდან უკვე გუნდთან ვარ

ლევან კობიაშვილმა „მალკე“ — „დუისბურგის“ მატჩი (2:1) გამოტოვა და, ბუნებრივია, მიზეზით დავინტერესდით. მით უმეტეს, რომ იგი თამაშამდე, ხუთშაბათის ვარჯიშზეც არ იყო...

„სერიოზული არაფერია. ფეხის კუნთი დამეჭიმა და ამის გამო ვერ ვითამაშე. დღეს ინდივიდუალურად ვივარჯიშე. ხვალ კი, იმედი მაქვს, გუნდსაც შევუერთდები. „დუისბურგთან“ ჩემი თამაშიც არ იყო გამორიცხული, მაგრამ მწვრთნელმა დამასვენა და არც მე გავრისკე“ — გვითხრა კობიაშვილმა, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით.

ილია ნანობაშვილი

გოგუას გოლი და სიმბოლური

გოგიტა გოგუამ ნალჩიკის „სპარტაკში“ დებრუნება გოლით და სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრით აღნიშნა.

ტურის II რჩეულში ქართველი CHAMPIONAT.RU-მ შეიყვანა და მის თამაშს მცირე კომენტარიც გაუკეთა...

„ნალჩიკელთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა შესანიშნავი მატჩი ითამაშა. თავისი აქტიურობით და სტანდარტული მდგომარეობების მწვავე შესრულებით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ბურთიც ჯარიმიდან გაიტანა და მეორე გოლიც მის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

იონას ლოდინი

გუშინწინ „ლოკომოტივი“ — „ზესტაფონის“ მე-80 წუთზე საქართველოს ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძემ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ნამატჩევს ითქვა, იონანიძეს კუნთი აქვს გაწყვეტილიო.

გუშინ ზურას დავუკავშირდით...

„ზუსტად ვერ გეტყვით, კუნთი დაჭიმულია თუ გაწყვეტილი. ახლა სახლში ვწევარ და ფეხზე ყინული მადევს. ამ დღეებში კლუბის ექიმიც გამსინჯავს, სურათსაც გადავიღებ და ამის შემდეგ მეცოდინება ზუსტი დიაგნოზი“ — გვითხრა იონანიძემ.

ნუკრი ლოლაძე

თქვენი ინტერვიუ

ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. ჰკითხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ARA — ERTI, KI — MEORE: BATUMS ZELIZE MIHYVA

„ბათუმმა“ ბორჯომში 2:1 მოგებით ბოლო ადგილს თავი კი დააღწია, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია — ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ორი გუნდის უკან მოტოვებაა საჭირო. ამისთვის ზღვისპირელები გაძლიერებას აპირებენ. „ბათუმს“ „ზესტაფონიდან“ ერთი გიორგი ჭელიძის გადაბირება არ გამოუვიდა, თუმც, სავარაუდოდ, მეორე გიორგი ჭელიძეს („პაჭელოს“) დაიმატებს.

„პაჭელო“ რუსულ კლუბებში, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ და როსტოვის სკა-ში ცდილობდა დამკვიდრებას, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან ხანგრძლივი ვიზა აღარ ჰქონდა, ახალი კი ვერ აიღო.

ჭელიძის საკითხს „ბათუმი“ დღედღეზე მოაგვარებს და „პაჭელო“ სეზონის ბოლომდე ითამაშებს ზღვისპირულ კლუბში, სადაც 2004-05 წლების სეზონშიც ირიცხებოდა...

მიხეილ ჟორჟოლიანი

გადრე კვიტელაძის ფოტო

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	რომა 1:2	90		22	0	5
ლევან მჭედლიძე	ემპოლი	ს	ატალანტა 1:4	0	ტრავმირებულია	0	0	19
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	ვესტ ჰემი 1:2	45	შეცვლაზე ითამაშა	15	0	9
ავსტრია. მაქსიმალური ლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	შ	რიდი 2:0	90		27	0	5
ავსტრია. ერსტელიგა								
მირზა ბჟალავა	ლუშტენაუ	ს	კერნტენი 1:2	0		4	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	დუისბურგი 2:1	0	განაცხადში არ იყო	10	1	5
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	შ	აინტრახტი 0:1	90		20	0	9
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ღვინიანიძე	მიუნხენ 1860	შ	მაინცი 1:1	0	ტრავმირებულია	13	0	8
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	ს	ოფენბახი 1:2	0	განაცხადში არ იყო	9	0	17
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი	ს	ოფენბახი 1:2	0	სათადარიგო	10	0	17
გიორგი სეთურიძე	კარლ ცაისი	ს	ოფენბახი 1:2	0	განაცხადში არ იყო	0	0	17
ესპანეთი. პრიმერადივიზიონი								
შოთა არველაძე	ლევანტე	ს	ატლეტიკო 0:3	0	განაცხადში არ იყო	0	0	20
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	რუბინი 0:1	0	ტრავმირებულია	0	0	14
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	შ	რუბინი 0:1	16	შეცვლაზე ითამაშა	1	0	14
დავით კვირკველია	რუბინი	ს	ლოკომოტივი 1:0	90	საგოლე პასი	1	0	4
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	ლოკომოტივი 1:0	0	სათადარიგო	0	0	4
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	ლოკომოტივი 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	4
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	სატურნი 2:1	90	1 გოლი	1	1	3
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	შ	სატურნი 2:1	90	1 ავტოგოლი	1	0	3
დავით სირაძე	ნალჩიკი	შ	სატურნი 2:1	57	შეცვალეს	1	0	3
ლევან გვაზავა	ლუჩ-ენერგია	შ	მოსკვა 1:1	90	1 გოლი	1	1	5
შვეიცარია. სუპერლიგა								
სანდრო იაშვილი	თუნი	ს	ქსამაქსი 2:0	0	სათადარიგო	17	1	10
ჩეხეთი. გამბრინუსლიგა								
გიორგი განუგრავა	ბოლესლავი	შ	სპარტა 1:4	45	შეცვლაზე ითამაშა	1	0	8
დანია. სუპერლიგა								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი	შ	ესბიერგი 0:4	0	სათადარიგო	6	0	9
უკრაინა. ვიშა ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	კარპატი 2:1	0	ტრავმირებულია	0	0	2
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	კარპატი 2:1	0	განაცხადში არ იყო	0	0	2
კახა ალადაშვილი	ხარკოვი	შ	ტავრია 1:1	90		3	0	13
ლადო ბურდული	ზარია	ს	დნიპრო 0:1	0		17	0	11
ლაშა ჯაკობია	ვორსკლა	ს	არსენალი 2:3	0	ტრავმირებულია	0	0	17
ირაკლი მოდებაძე	კრივბასი	შ	მ. დონეცკი 1:1	0		0	0	9
ჯაბა კანკავა	დნიპრო	შ	ზარია 1:0	0		15	3	3
სანდრო კობახიძე	დნიპრო	შ	ზარია 1:0	0		0	0	3
გიორგი დემეტრაძე	არსენალი	შ	ვორსკლა 3:2	51	1 გოლი, შეცვალეს	18	3	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



გადრე კვიტელაძის ფოტო

სომხური „მიკას“ სპორტული დირექტორის თანამდებობაზე ლევან ნოდია ახლახან დაინიშნა. სომხურ ფეხბურთში ნოდიას კარგად იცნობენ ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან, როდესაც თბილისის „დინამოში“ ერევნის „არარატის“ წინააღმდეგ თამაშობდა ხოლმე. „მიკას“ მთავარი მწვრთნელი არკადი ანდრეასიანია, რომელთანაც სწორედ მოთამაშის კარიერის დროიდან მეგობრობს. ყოველკვირეულმა სომხურმა გამოცემა „ფუტბოლ+“მა ნოდიას ინტერვიუ ჩამოართვა...

იუბილედან სამსახურში

ლევან ნოდია: საქართველო სომხეთს ექვსით უსწრებს

— როგორ აღმოჩნდით სომხეთში?

— „მიკას“ მთავარ მწვრთნელ არკადი ანდრეასიანთან დიდი ხანია ვმეგობრობ. ის საუცხოო ფეხბურთელი და ნამდვილი პროფესიონალი იყო. შარშან ერევანში მისი 60 წლის იუბილე აღინიშნა და ამ დღესასწაულს მეც ვესწრებოდი. მაშინ შევხვდი „მიკას“ სპონსორს და შემომთავაზა კლუბში მუშაობა. წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან „მიკა“ კარგი გუნდია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი.

— რა გეკალებათ კლუბში?

— ჩემი მოვალეობა სასელექციო სამუშაოს წარმართვაა. გვსურს, პროფესიონალური კლუბი ჩამოვაყალიბოთ.

— თუ გყავთ შერჩეული ფეხბურთელები, რომელთა მიწვევაც გსურთ „მიკაში“?

— მალე გასინჯვაზე 22 წლის ფიოდოროვი ჩამოვა, რომელიც ადრე კიევის „დინამოში“ თამაშობდა. იგი ნახევარმცველია და ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა. თუ ის ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, დავიტოვებთ.

— ცოტა ხნის წინ „მიკაში“ სამი ქართველი ფეხბურთელი იყო. თქვენ მათთან რაიმე შეხება გქონდათ?

— რა თქმა უნდა, სამივეს კარგად ვიცნობ. ვიტალი დარასელია „მიკაში“ მოსვლამდე მოლდოვურ „დაჩიაში“ გახლდათ, მაგრამ ტრავმის გამო ოთხი თვე გაუცდა და ცუდ ფორმაში იყო. ხათანადოდ მზად არ იყვნენ რატი ალექსიძე და მიხეილ ბობოხიძე. დროთა განმავლობაში ოპტიმალურ კონდიციებს კი დაიბრუნებდნენ, მაგრამ ამისთვის დრო სჭირდებოდათ. ამის გარდა, მათ კლუბის ხელმძღვანელობასთან პირობებზეც ვერ მოილაპარაკეს. ახლა ისეთი ფორვარდის ძიებაში ვართ, რომელიც შეტევების ორგანიზებას და გოლების გატანას შეძლებს.

— ბოლო წლებში სომხურ ფეხბურთს თვალს თუ ადევნებდით?

— სომხეთში ბევრი მეგობარი მყავს და ხშირად ჩამოვდიოდი ხოლმე, თუმც აქაურ ფეხბურთს უფრო ახლოს მალე გავიცნობ...

— ქართულ და სომხურ ფეხბურთს როგორ შეადარებთ?

— ორივე ქვეყანაში ფეხბურთი დაახლოებით ერთ დონეზეა. თუმცა ქართული ფეხბურთის უპირატესობა ის არის, რომ იქ უმაღლეს ლიგაში 14 გუნდია, სომხეთში — 8. როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ მათთან სწორი მუშაობაა საჭირო. პარალელურად „მიკას“ ბავშვთა გუნდშიც ვიმუშავებ. კლუბს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი იყო. მას მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და ფეხბურთში კარგად ერკვევა...

გიორგი ივანიშვილის მორიგი ციურიხული

„ციურიხ U21-ის“ ფორვარდმა გიორგი ივანიშვილმა მიჯრით მეორე მატჩში გაიტანა. ამჯერად 21-წლამდელთა სუპერლიგაში ციურიხელებმა „კროიხლინგენს“ 3:2 სძლიეს, ივანიშვილი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და 86-ე წუთზე შეაგდო, რითაც ანგარიში 3:1 გახადა.

სასიამოვნოა, რომ 18 წლის ქართველი ფეხბურთელი მასზე სამი წლით უფროსებში ასე შედეგიანად ირჯება.

გერმანიაში, 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში კი, დავით თარგამაძის „ფრაიბურგმა“ 4:1 სძლია „ოფენბურგს“. თარგამაძეზე მხოლოდ ის ვიცით, რომ გოლი არ გაუტანია.

ილია ნანობაშვილი

მომეცით ხუთი მეტრი!

ინგლისის ნაკრების თავკაცი ფაბიო კაპელო ფიქრობს, რომ ფეხბურთის საშობლოში რევოლუციური მოვლენები მიმდინარეობს და ეს რევოლუცია მას მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისკენ გაუძღვება.

კერძოდ, რა ძვრებსა და ცვლილებებზეა ლაპარაკი? იტალიელი ტაქტიკოსის აზრით, ინგლისში კონტინენტური ტექნიკა და ტაქტიკა იკიდებს ფეხს.

და კიდევ, აი, რისი იმედი აქვს ინგლისელთა ახალ თავკაცს: ის ფიქრობს, რომ ტექნიკას პლუს ნაკრების განსაკუთრებული სიყვარული მის ფეხბურთელებს დიდ წარმატებებამდე მიიყვანს.

„მოცებს ინგლისელების უნიკალური დამოკიდებულება თავიანთი ქვეყნის ეროვნული გუნდის მიმართ. აქ ნაკრების წარმატებს უკლებლივ ყველასთვის ნომერ პირველი ამოცანაა.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო „პორტსმუთის“ მწვრთნელის ჰარი რედნაპის მოსაზრებებიც. მან მითხრა, რომ ინგლისის ნაკრებმა გრძელი პასებით თამაშს ცოტა უნდა მოუკლოს და შეტევაზე აკადემიურად გადასვლა დახვეწოს. ახლა ჩემი ამოცანაა ინგლისელ ფეხბურთელებს თავიანთივე ფეხბურთით ისეთივე სიამოვნება მივანიჭო, მარჩელო ლიპიმ იტალიელებს რომ მიანიჭა“.

მაგრამ, მოიძებნება კაპელოსეულ გუნდში დევიდ ბექჰამის ადგილი? როგორც მიმომხილველები გვაუწყებენ, ინგლისელთა ყოფილმა კაპიტანმა, რომელსაც ნაკრებში 99 მატჩი აქვს ჩატარებული, გასულ შაბათს „თავისი ამერიკული გუნდის, „ლოს ანჯელეს გელექსის“ შემადგენლობაში საუცხოოდ ითამაშა. ამ თამაშის სანახავად ოკეანის გადაღმა ბრძანდებოდა კაპელოს მარჯვენა ხელი, ასისტენტი ფრანკო ბალდინიც, მაგრამ ის ბექჰამს პირადად არ შეხვედრია. ამასობაში კი საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგური თამაში ახლოვდება და ამ ხუთშაბათს ინგლისელთა იტალიელმა თავკაცმა ამ თამაშისთვის შერჩეული შემადგენლობა უკვე უნდა გვითხრას.

ამ თემას გამოეხმაურა ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი რუუდ გულიტი, რომელმაც მოკლედ და მკაფიოდ განაცხადა, რომ თუ კაპელო ბექჰამს არ გამოიძახებს, სულელი გამოდგება.

„საზონისწინა შეხვედრების უმრავლესობა ბექჰამმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. მერედა, ის საუცხოო ფეხბურთელია და მთელი გუნდისთვის ჩინებული მაგალითის მიმცემი გახლავთ. მის გვერდით ყოფნა ახალგაზრდა მოთამაშეებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობის რამ არის და, გარდა ამისა, ბექჰამს საუცხოო პასების დარიგება ეხერხება. ამ პასების გამოყენება ნაკრების წარმატების წინაპირობა იქნება“— თქვა გულიტმა.

თავად ბექჰამმა კი განაცხადა, რომ „ლოს ანჯელესის“ შემადგენლობაში მისი კარგი თამაში სულაც არ იყო განპირობებული იმით, რომ ტრიბუნაზე ბალდინი იჯდა და მის თამაშს აკვირდებოდა.

„მე ბალდინისთან საუბრის საშუალება არ მომეცა — [illegible] ურად განაცხადა ბექჰამმა — ისე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ის ტრიბუნაზე იჯდა და ვიმედოვნებ, თამაშითაც ისიამოვნა. ვფიქრობ, მატჩი, რომელიც მან ნახა, პრემიერლიგის მატჩების დონისა იყო. ის, რასაკვირველია, ჩემი თამაშისა და ჯანმრთელობის შესამოწმებლად იყო ჩამოსული, რაც სრულიად ბუნებრივია. მე, ჩემი მხრივ, [illegible] შემიძლია, ისე ვითამაშე, [illegible] „ლოს ანჯელეს გელექსის“ წარმატებაში ჩემი წვლილი შემეტანა.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ჩემი ქვეყნის ნაკრებისადმი, მას ვერაფერი შეცვლის. ყოველთვის ძალიან მინდოდა ინგლისის ნაკრებში თამაში. ჩემი მთავარი ამოცანა პარტნიორისთვის ბურთის ზუსტად მიწოდებაა, რასაც ყოველთვის შევძლებ, მიუხედავად იმისა, „რეალში“ ვიქნები, „მანჩესტერ იუნაიტედში“ თუ „ლოს ანჯელეს გელექსიში“. პასების უნარისადმი გუნდს მნიშვნელობა არ აქვს. არასდროს განვეკუთვნებოდი იმ მოთამაშეებს, რომელთა კოხირი მეტოქის მცველებთან სწრაფად ჩარბენაა. უბრალოდ, მომინიშნეთ ადგილი ხუთი მეტრის სიზუსტით და საიდანაც გნებავთ, იქიდან ჩავაგდებ ამ ადგილას ბურთს...“

პაპუნა კედია

ექვსს პლუს ხუთი

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია საზოგადოებისთვის საკამათო და წინააღმდეგობრივი გეგმების შეთავაზებას აპირებს — საუბარია ისეთი ხრიკის მოფიქრებაზე, რომელთა წყალობით კლუბებში უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობა შეიზღუდება. ბატონ ბლატერს ხრიკისთვის უკვე სახელწოდებაც კი აქვს.მოფიქრებული: „6 პლუს 5“, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ თითოეულ გუნდს, ერთდროულად, სულ მცირე, ექვსი (ან მეტი) ადგილობრივი ფეხბურთელის თამაში დაევალება. სხვა სიტყვებით, ფიფა ქვედა, ექვსკაციანი ზღვრის დაწესებას ფიქრობს, ხოლო ადგილობრივ ფეხბურთელებში იმ მოთამაშეებს გულისხმობს, რომელთაც იმ ქვეყნის ნაკრებში შეეძლებათ თამაში.

აზრი კიდევ უფრო გასაგები რომ გავხადოთ: ვთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვალდებული გახდება, ყოველ თამაშში მოედანზე გაშვებული 11 ფეხბურთელიდან 6 ინგლისის ნაკრების წევრი, წევრობის კანდიდატი ან... მოკლედ, ინგლისელი ჰყავდეს.

აღსანიშნავია, რომ ზეპ ბლატერის ამ იდეას ფიფას აღმასკომის წევრები ერთსულოვნად უჭერენ მხარს და ფიქრობენ, რომ ამ გზით საკუთრივ კლუბებს მიეცემათ საკუთარი სახისა და სტილის დამკვიდრების, თავისი თვითმყოფადობის გამომჟღავნების საშუალება. მათ ახალი თაობების აღზრდისკენ გაეხსნებათ ხელ-ფეხი, უფრო ეფექტურად ამუშავებენ ბავშვთა სკოლებს და ასე შემდეგ.

მაგრამ, არის პრობლემაც: ევროკავშირი ეროვნების მომიზეზებით რაიმე შეზღუდვებს კრძალავს...

ზეპ ბლატერი: „ჩვენი აღმასკომი დარწმუნებულია, რომ „6 პლუს 5“ სისტემის შემოღება ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არსებულ კანონებთან პირდაპირ კონფლიქტში შესვლა არ გვარგებს“.

მაშ, სად არის გამოსავალი? ფიფას პრეზიდენტის აზრით, გამოსავალი სპორტისთვის გამონაკლისის შემოღებაშია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: ლისაბონში 2007 წელს შეთანხმდნენ, რომ სპორტი სპეციფიკური სფეროა, მაგრამ კერძოდ რაში მდგომარეობს მისი სპეციფიკურობა, არ დაუზუსტებიათ, ასე რომ, რაღაც ჩასაჭიდი არის და არც არის.

ბლატერი ამბობს, რომ ევროკავშირის წარმომადგენელთა აპრილის თავყრილობას საგანგებო წერილით მიმართავს და შეეცდება, ვითარებაში გაარკვიოს.

ამ საკითხის გარდა ფიფას შეფი ინგლისური პრემიერლიგის მიერ ბოლო დროს აგორებულ იდეასაც შეეხო და... დაიწუნა. მოგეხსენებათ, საუბარია ინგლისის ჩემპიონატში დამატებითი, კომერციული ტურის შემოღებაზე, რომელიც, პრემიერლიგის ბოსთა გეგმის თანახმად, ერთი მხრივ ჩვეულებრივი ტური იქნება, ასე ვთქვათ, თავისი ქულებით და ყველაფრით, მეორე მხრივ კი, სარფის მისაღებად, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გაიმართება.

„ფიფას აღმასკომმა ეს იდეა სასტიკად გაკიცხა — განაცხადა ბლატერმა — ასეთი რამის დაშვება შეუძლებელია“.

„სარბიელის“ მკითხველს მოეხსენება, რომ პრემიერლიგის შეფები ფიფასთან კონსულტაციებს აპირებენ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს, მიზეზად კი საკითხის უფრო ღრმა შესწავლა დაასახელეს.



ფიფას აღმასკომის სხდომის კიდევ ერთი შედეგი 23 წელზე მეტი ხნის ფეხბურთელთა ოლიმპიური შეზღუდვისგან გათავისუფლება გახლდათ: ვისაც პეკინის ოლიმპიადაზე გამგზავრება სურს, დე, გაემგზავროს!

რაც შეეხება ზღვის დონიდან ძალიან მაღლა ბურთაობას: საგანგებო აკლიმატიზაციის გარეშე ზღვის დონიდან 2750 მეტრზე მაღლა თამაში აკრძალულია.

და ბოლოს, მექრთამეობის აბაბავი. რამდენიმე დღის წინ მსოფლიო მედიაში გავცელდა ხმა, თითქოს ფიფას აღმასკომის წევრი, 79 წლის პარაგვაელი ნიკოლას ლეოსი ფიფას ყოფილი მარკეტინგ-პარტნიორის ISL-ის შავ სალაროსთან ყოფილა კავშირში. ბლატერმა თქვა, რომ ამ საკითხზე კომენტარს ვერ გააკეთებს და ვინაიდან საქმე ძიებაშია, ყველაფერს დაცდა აუღობებს.

ლეოსი აღმასკომის ხსენებულ სხდომას არ დასწრებია.

პაპუნა კედია



9 ტონა ზიდანი

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ზინედინ ზიდანი ცხოვრებაში პირველად ჩავიდა ბრაზილიაში. მიზეზი: ფეხბურთის თამაში საქველმოქმედო მიზნით.

კვირას დილით ზიზუ სან პაულუს სამხრეთით ფაველა ელიოპოლისში მივიდა — ფაველა ღატაკთა უბანია — სადაც ფუტბალის მოედანი გახსნა, შემდეგ კი პრეს-კონფერენცია მოაწყო და ბურთი გააგორა. მასთან ერთად ბურთი გააგორეს რონალდაუმ, მიულერმა, რაის, მაურუ სილვამ და მანოელ ტობიასმა.

აღსანიშნავია, რომ ამ თამაშს დაესწრო 4500 მაყურებელი, რომელთაც ბილეთში... საკვები პროდუქტები გადაიხადეს. იმ დღეს ელიოპოლისის ბავშვებისთვის 9 ტონა საჭმელი მოგროვდა.

პაპუნა კედია

სუპერ ზეე

სერია A-ს 28-ე ტურში ვერცერთმა სტუმარმა ვერ იმარჯვა. ყველაფერს დეტალურად channel4.com-ის მორიგი ჩანახატიდან გაიგებთ...

კლარენს ზეედორფი

გამარჯვებულები

კლარენს ზეედორფი (მილანი) — სამი სხვადასხვა კლუბის მაისურით ჩემპიონთა ლიგის მომგები შემტევი ნახევარმცველი „რომასთან“ მატჩში „როსონერის“ იერიშების სულისჩამდგმელი იყო. „ზეეს“ ჩვეული, დახვეწილი თამაშის შემხედვარე „მილანის“ ქომაგებს ალბათ კვლავ სინანულით ახსენდებოდათ „არსენალთან“ წაგებული შეხვედრა, რომელშიც ჰოლანდიელმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა. 73-ე წუთზე ზეედორფი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. „ჯალოროსიმაც“ სწორედ ამის მერე შეძლო მატჩის შემობრუნება. არადა, „მილანი“ მარცხს არ იმსახურებდა.

პატრიკ ვიეირა (ინტერი) — ცუდი თამაშისა და გაუთავებელი ტრავმების გამო, ვეტერან ფრანგს „ნერაძურის“ ბევრი ფანი აკრიტიკებდა — რად გვინდოდა, რომ ვიყიდეთო. თუმცა კვირას ვიეირამ ყველა გააჩუმა. მან „პალერმოს“ გოლი გაუტანა და მთლიანობაშიც ბრწყინვალედ გაისარჯა. 90-ე წუთზე, როცა რივასით შეცვალეს, ქომაგები ფეხზე წამოდგნენ და ოვაციებით გააცილეს.

ლუჩანო სპალეტი (რომა) — დაახლოებით ერთი საათი უყურა, თუ როგორ უჭირდათ „გლადიატორებს“ და მიხვდა, რომ ერთი კი არა, ორი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო საჭირო. სპალეტიმ მინდორზე მირკო ვუჩინიჩი და ლუდოვიკ ჟული შეუშვა. როგორც იცით, „ჯალოროსიმ“ სწორედ მათი გოლებით სძლია „მილანს“. „გამოცნობილი შეცვლები? ალბათ ასეცაა, ან იქნებ სასტარტო თერთმეტეული შევარჩიე არასწორად...“ — აღნიშნა მატჩის შემდეგ ტრადიციულად თავმდაბალმა სპალეტიმ.

დამარცხებულები

ლუკა ბუჩი (პარმა) — იგი მრავალჯერ ყოფილა მატჩის გმირი, მაგრამ არა ასევე გადარჩენისთვის მებრძოლ „ლივორნოსთან“ პრინციპულ მატჩში. ბუჩი იმდენად დიდი ხანი თამაშობს ფეხბურთს, რომ ასეთ გოლებს აღარ უნდა უშვებდეს, არც შორიდან კარგი დარტყმის მქონე ლუიშ ვიდიგალისგან.

დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი) — ფრანგმა მეგოლემ კიდევ ერთი მატჩი ჩააგდო. მეტიც, მას გაუმართლა, რომ ფაბიანო სანტაკროჩესთან უხეშობისთვის მინდვრიდან არ გააძევეს.

პერ კროლდრუპი (ფიორენტინა) — დანიელ მცველს მორიგი მძიმე თამაში ჰქონდა. იგი რამდენჯერმე შეცდა და „ჯენოას“ ნიჭიერ თავდამსხმელებს ზედმეტი სივრცე მისცა, მაგრამ „იებს“ გაუმართლათ, თან მათმა შემტევებმა უკეთ ითამაშეს და ფლორენციელებმა, მიუხედავად კროლდრუპის შეცდომებისა, დამაჯერებლად იმარჯვეს.

გოლები

კრისტიან ლედესმა (ლაციო) — აღარავის უკვირს, როცა არგენტინელი შორიდან ურტყამს და ბურთი მეტოქის ბადეში ეხვევა. ამჯერად მისმა მორიგმა გასროლილმა (დაახლოებით 27 მეტრიდან) „უდინეზე“ იმსხვერპლა.

რეჯინალდო (პარმა) — კრისტიანო ლუკარელის პასის მერე ბრაზილიელმა მარკო ამელიას ოსტატური დარტყმით გაუტანა. ბუჩი ძალ[illegible] ზიციიდან ბურთს კარს გადაატანებდა.

მარიო სანტანა (ფიორენტინა) — „იებმა“ „ჯენოას“ პირველი გოლი ბრწყინვალე კომბინაციის შემდეგ გაუტანეს, რომელშიც სანტანა-ზე ნაკლები წვლილი არც ახალგაზრდობინებულ ადრიან მუტუს მიუძღვის. მათ რამდენიმე პასი გაცვალეს და კარგადაც დააგვირგვინეს იერიში. ვიდეოგამეორებაზე გამოჩნდა, რომ სანტანა თამაშგარეშე იყო, მაგრამ ეს ამ კომბინაციის ხარისხს არ აკნინებს.

რიცხვები

გვიანი შოუ: „იუვენტუსი“ მატჩის მიწურულს გოლების გატანას დაჭვია. ვინჩენცო იაკვინტამ „ნაპოლის“ 88-ე წუთზე შეუგდო. ეს ტურინელთა 49 გოლიდან მე-19 გახლდათ, რომელიც მათ ბოლო 15 წუთში გაიტანეს.

წითლების გარეშე: მიმდინარე სეზონში სერია A-ს ტურში პირველად მოხდა, რომ ერთი წითელი ბარათიც არ უჩვენებიათ. მე-5, მე-17 და 25-ე ტურების მერე კი მეოთხე შემთხვევაა, რომ სტუმრებმა ვერცერთი შეხვედრა ვერ მოიგეს. გავიდა 33 გოლი, რომელთაგან 26 მასპინძლებმა გაიტანეს.

„რომა“ რომში მგარია: „ჯალოროსი“ საკუთარ კედლებში ბრწყინვალე თამაშს აგრძელებს. „მილანთან“ მოგება „გლადიატორებისთვის“ მიჯრით მეათე გახლდათ „სტად

ზომბეები და ვერფანტასტიკოები

დაეცა გალაქტიკო, წაიქცა ფანტასტიკოც...

იმ დიდ კომპანიას, ანუ ზიდანს, ფიგუსა და მათ მეგობრებს, სასტიკად არ მოსწონდათ ფლორენტინო პერესის „რეალის“ დროინდელი თიკუნი — „ელ გალაქტიკო“. ბოლო, კრიზისულ პერიოდში ზოგიერთმა ვარსკვლავმა დაიჩივლა კიდეც, ამ საშინელ მეტსახელს ჩვენთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიაო. ახლა კი იგივე ისტორია „ბარსელონაში“ მეორდება. ტიერი ანრი და რონალდინიო მედიასთან შეხვედრებისას უშალ ცხვირწინ წითელბაირაღაფრიალებულ ბუღებად იქცევიან ხოლმე, როცა მავანი ჟურნალისტი მათ „ფანტასტიკოებს“ უწოდებს... ბარსელონელები ამბობენ, რომ ეს წყეული „ელ ფანტასტიკო“ მათ აბნევს, ძაბავს და მოედანზე ყოფნისას ზედმეტი პასუხისმგებლობის ტვირთით ამძიმებს.

მოკლედ, დიდ გუნდებს დიდი მეტსახელები არ უყვართ, თუმც რა კავშირი აქვს „გალაქტიკოს“ და „ფანტასტიკოს“ ოდინდელი „რეალისა“ და დღევანდელი „ბარსელონას“ ვაუბედურებასთან? ეჭიქრობთ, არაფერი. ერთობ შორეული შედარებისთვის მოგვიტევეთ, მაგრამ ისტორიულად ძველი მრისხანე სახელმწიფოები, რომი და სხვები ზედმეტმა ამპარტავნობამ, ფუფუნებაში ჩაძირვამ და სიზანტემ დაღუპა. მათ ყველაფერი ჰქონდათ, ყველამდე სიმდიდრე, სახელ-დიდება და ლეგენდარული წარმატებებიც, თუმცა გაზარმაცდნენ და კრახიც განიცადეს. მეტსახელებს კი ნუ გამოვეკიდებით.

რუბენ დე ლა რედი – ახალი ფერნანდო იერო?

მიქაელ ლაუდრუპის სამჭედლოში რუბენ დე ლა რედს ნელ ცეცხლზე აწრთობენ. დანიელმა მწვთრნელმა „რეალში“ ფეხბურთელობისას თანაგუნდელი ფერნანდო იეროს პოზიციური ცვლილებანი საკუთარი თავალით იხილა და ახლა მსგავს ექსპერიმენტს „ხეტაფეს“ ნახევარმცველზე ატარებს.

ოთხმოცდათითი წლების დასაწყისში „რეალი“ ცენტრალურ მცველთა ნაკლებობას განიცდიდა, რასაც ფერნანდო იეროს (ძალაგელი მაშინ მოედნის ცენტრში ბურთობდა) პოზიციური უკანდახევა მოჰყვა. მერე მოხდა ის, რომ იძულებით მკვლევლიქცეული იეროსგან ესპანურმა ფეხბურთმა ბრწყინვალე უკანახაზელი მიიღო. „რკინის კაპიტანი“ სამეჯო გუნდის იერიშებში აქტიურად ერთვებოდა, საკუთარი საჯარიმოს უპირობო ბატონი იყო და მოწინააღმდეგის თავდამსხმელებსაც მძიმე დღეში აგდებდა. დე ლა რედს იეროობას ჯერ ნუ დავპრალებთ, თუმცა „რასინგთან“ ჭიდილისას ლაუდრუპის შეგირდი ძალიან ჭკვიან „რკინის კაპიტანს“.

თუ არც რამოსი გყავს და რობინიოც არ გივარგა...

მატჩის მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა დაწერეს, მადრიდის „რეალი“ „რიასორზე“ ტვინამოცლილი ზომბივით დაბორიალობდაო. ზომბი ზომბად და „დეპორტივოს“ მსხვერპლს შაბათს ორი კაცის არყოფნა ძალიან დაეტყო — სერხიო რამოსის და რობინიოსი (ბრაზილიელი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, მაგრამ რახან ფორმაში ვერაა, სამეჯო გუნდისთვის ხეირი არ მოუტანია). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ როცა რობინიო ტრიბუნაზეა, ან „ნაღდი“ არაა, „რეალს“ ლაღი ფინტების ნაკლებობა აწუხებს, ხოლო სერხიო რამოსის მოედანზე არყოფნა კასტილიელთათვის საფეხბურთო ვნება-ჯიგრის ჩაქრობას ნიშნავს.

ვინ არის ის, ვინც ყველაზე რთულ ეპიზოდებში, როცა დანარჩენი რეალელები ფარ-ხმალს უმწეოდ ჰყრიან, ბოლომდე იბრძვის და ამით მტერ-მოყვარის აღტაცებას იმსახურებს? რამოსი! ვინ არის კაცი, კუთხურიდან შემოგდებულ ბურთს მეტოქის კარის ბადეში ხშირ-ხშირად რომ აგზავნის და ამით „რეალისთვის“ ოქროს ქულები მოაქვს? ცხადია, რამოსი! ვინ არის მობურთალი, სრულიად მოულოდნელად მოიერიშეთა შორის რომ აღმოჩნდება ხოლმე და თავგზააბნეულ მოწინააღმდეგეს სახიფათო დარტყმებით სისხლს უშრობს? რა თქმა უნდა, სერხიო რამოსი!

თუ რობინიო ჯანხეა და რამოსიც გადამეტებული გულმოდგინებით მორიგი წითელი ბარათის ლაურეატი არ გახლავთ, „რეალი“ საპრიმერას 28-ე ტურის შემდეგ „ბეტისის“ ფანებმა „ბილბაოს“ მეკარე არმანდოსთან დაკავშირებულ სამარცხვინო ინციდენტზე უნდა იფიქრონ (ერთმა ღმერთმა უწყის, „მწვანეების“ სტადიონზე მორიგ მეტოქეს თავს როდის გაუხეთქავენ), მადრიდის „რეალის“ თავკაცობა კი, წესით, „დეპორტივოსთან“ წაგებისა და „რიასორის“ მოუშორებელი წყევლის გამო უნდა იყოს საგონებელში ჩავარდნილი. აგერ, „ბარსაც“, რომელიც „რეალის“ მარცხს სათავისოდ ვერ იყენებს და „ალმერიასთან“ ოდენ ფრეს სჯერდება... საჩემპიონთალიგო რბოლას კი იცოცხლეთ, ცეცხლი უკიდია — ოთხეულში მოხვედრის პრეტენდენტებმა („ვილიარეალი“, „ატლეტიკო“, „სევილია“ და „ესპანიოლი“) თავიანთი მატჩები ტრიუმფით დაამთავრეს

მეფო სტილში თამაშობს. სხვანაირად კი como un zombi.

თურმე მესტალია გაუმოლტავს და არა ხოაკინი...

„ვალენსიამ“ „სევილიასთან“ შინაურ არენაზე 1:2 წააგო. „ღამურათა“ ბანაკში რომ წლეულს საქმე კარგად ვერ მიდის, ეს დაუკვირვებელი თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევია. მწვრთნელი რონალდ კუმანი მოედანზე ცვლილებებით და გუნდში ვითომცდა რკინის დისციპლინის დანერგვით სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ისედაც წამხდარი საქმე სულ უფრო ებურდება.

მაგალითისთვის ხოაკინთან დაკავშირებული ეპიზოდიც კმარა. მატჩისწინა ვარჯიშზე ექსპერტისელმა სამი წუთით დაიგვინა და ამის გამო განრისხებულმა კუმანმა ხოაკინს უყვირა, „სევილიასთან“ თამაშს ვერ ეღირსებიო. იქაურ მედიაშიც უმალ აღნიშნეს: „მკაცრი ტინტინი (კუმანის ესპანური მეტსახელია) ხოაკინს უდისციპლინობისთვის „ბილტაკს“.

მერე „ტინტინს“ სიტყვის ფიცხეხვა მოუწია. საქმე ის გახლავთ, რომ ვალენსიური შეხვედრის პირველი ნახევარი 0:2 დასრულდა ხევილიელთა სასარგებლოდ და დავთრებარეულმა ჰოლანდიელმა ტაიმაშორისის შემდეგ არისმენდის ნაცვლად სწორედ შერისხული ხოაკინი შეუშვა მინდორზე (ვითომ ეს მწვრთნელის ავტორიტეტზე სასაკეთოდ იმოქმედებს?). ფოფილი ბეტისელიც აბობქრდა და შიელი ძეორე ტაიმის განმავლობაში მასპინძელთაგან ყველაზე ჩაუქალ ოთამაშა, თუმცა გოლის გაფანა ვერ შეძლო. „მესტალიას“ გულდაჭირებული ფანებიც სახლში დაბრუნებისას ალბათ იმას ფიქრობდნენ, რა იქნებოდა, ხოაკინს თავიდანვე რომ ეთამაშაო. ანუ შოლტი ფეხბურთელს ასცდა, მაგრამ „ღამურათა“ ყოველ ჭეშმარიტ ინჩასს ზურგი ძალიან ეტკინა.

ტურის გმირი: არმანდო – რახან გაფარჩა...

„იცით, რას ნიშნავს ჩემთვის „ბილბაოს“ მეკარეობა? მე ბასკი ვარ. „სან მამესზე“ თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია“ — განუცხადა „ატლეტიკის“ გოლკიპერმა არისმენდიმ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტს.

ეს სიტყვები მეკარემ სულ რამდენიმე დღის წინ თქვა, ხ მაიტს, „ბეტისთან“ მატჩში კი შინ დაბრუნებით გახარებული არისმენდი ფანვალიდებას ძლივს გადაურჩა. ვიდაც თავგახურებულმა (რომლის ვინაობასაც პოლიცია ჯერ არ ამჟღავნებს) ტრიბუნიდან წყლით სავსე ჭალსტიკური ბოთლი ისროლა და მეკარეს სახეში მოარტყა. არისმენდი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს, მატჩი ჩაიშალა, ხოლო „ბეტისის“ ფეგულშემატკივარი ინჩასებმა პოლიციის გამოჩენამდე შეიპყრეს...

„სნაიპერი“ 40 წლისაა და ბელიერი მაირენა დელ ალბარაციენში ცხოვრობს. არმანდოს ავრეალირზე ჯერჯერობით მხოლოდ ესაა ცნობილი. ალბათ, ესპანური მარიონეტებიჯულება ხულიგანს სხვათა სამაგალითოდ შეძლებისდაგვარად უმკაცრესად დასჯის. მთავარი ჩასაჭელი კი ბოთლის მტყორცნელმა თავისთანთაგან უკვე მიიღო. „ეს ნამთალი მოგვაშორეთ, ლეგის მერე ფეხბურთი ამისთვის სამუდამოდ დამთავრდა“ — უთქვამთ „ბეტისის“ გულშემატკივრებს ტრიბუნაზე ავარდნილი პოლიციელებისთვის.

ლადო ხომერიკი

სარაგოსასთვის გალანძღული

რობერტო ფაბიან აიალას „ვილიარეალის“ ინჩადა გამაყრუებელი სტვენით შეეგება. არგენტინელი ამჟამად „სარაგოსას“ ფეხბურთელია და როდესაც პრიმერას მატჩის წინ „ვილიას“ „ელ მადრიგალზე“ მისი გვარი გამოაცხადეს, გაბრაზებულმა ფანებმა იქაურობა სტვენა-ლანძღვით აიკლეს.

საქმე ის გახლავთ, რომ რობერტომ, თავის დროზე, „ვალენსია“ სწორედ „ვილიარეალში“ გადასასვლელად დატოვა, თუმცა მერე „ყვითლებს“ უგანა და „ვილიას“ გულშემატკივრები მტრად მოიკიდა. მაშინ არგენტინელს ვითომ სამი სეზონი უნდა გაეტარებინა „მადრიგალზე“, კონტრაქტიც გაფორმებული იყო, ოღონდ ამან „სარაგოსა“ ვერ შეაჩერა — არაგონელებმა მოხერხებული ფინანსური ოპერაციით მოახერხეს აიალას ხელში ჩაგდება, ხოლო იქამდე რობერტომ „სარაგოსაში“ თამაშის სურვილი გამოთქვა.

ასეთია ისტორია და როცა ფაბიან აიალამ „ვილიარეალთან“ 28-ე ტურის მატჩში მოედანზე ბურთი მიიღო, ტრიბუნებიდან „ძირს აიალა!“ და საშინელი სტვენა გაიგონა... გავიხსენოთ, რომ არგენტინელი 2000-01-ის სეზონში მივიდა „ვალენსიაში“ და „მესტალიაზე“ შვიდწლიანი ბურთაობის შემდეგ გახდა „ვილიარეალსა“ და „სარაგოსას“ შორის საჯილდაო ფეხბურთელი.

აიალა „მადრიგალზე“ 67-ე წუთზე ჩუს ერერამ შეცვალა. რამდენიმე წამით ადრე კი არგენტინელმა მსაჯთან შელაპარაკებისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

ლადო ხომერიკი

თითქმის ომი

სისასტიკის სცენები არც არგენტინული ფეხბურთის აკლია. „ბოკა ხუნიორსის“ ქომაგებს შორის ატეხილმა ჩხუბმა შედეგად ერთი დაჭრილი და 174 დაჭერილი მოიტანა. ეს ამბავი „ველეს სარსფილდის“ ქომაგის მკვლელობის მეორე დღეს მოხდა — „ველეს სარსფილდის“ ხსენებული ქომაგი სტადიონისკენ მიმავალ გზაზე ტყვიით დაჭხრიალეს. ამ ამბავს ინ ყველს სხვა ქომაგთა განრისხება და მასობრივი არეულობები, საბოლოოდ კი „ველეს სარსფილდისა“ და „სან ლორენსოს“ თამაშის ჩაშლა მოყვა.

რაც შეეხება კვირის ამბავს, ის „ბოკას“ ქომაგების ავტობუსებში ჩასხდომის დროს მოხდა — ეს ხალხი „ურაკანთან“ თამაშზე მიემგზავრებოდა, მაგრამ ერთმანეთს შეეტაკნენ. საბოლოოდ, საქმეში პოლიციის 100 ოფიცერი, 20 მანქანა და ერთი ვერტმფრენიც კი ჩაერია. საბოლოოდ, ხელისუფლებამ ყველაფერი კონტროლქვეშ მოაქცია, ხოლო თამაში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, 0:0 დასრულდა.

პაპუნა კედია

რა ჩაილაპარაკა იბრაჰიმოვიჩმა?

მილანის „ინტერის“ გარშემო კვლავ აურზაურია. „ნერაუძურიმ“ „პალერმოს“ 2:1 კი მოუგო და „რომასთან“ ექვსქულიანი სხვაობა შეინარჩუნა, მაგრამ, როგორც ჩანს, კლუბში ისევ დიდი დაძაბულობაა.

სიცილიელებთან მატჩის 78-ე წუთზე რობერტო მანჩინიმ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ერნან კრესპოთი შეცვალა. ამან შვედი ფორვარდის უკმაყოფილება გამოიწვია. მან მანჩინის ზედაც არ შეხედა, ხელი არ ჩამოართვა და სათადარიგოთა სკამთან მისვლამდე რაღაცას ბუტბუტებდა.

იტალიური პრესის ცნობით, იბრაჰიმოვიჩის ტუჩების მოძრაობის გაშიფვრის შედეგად გარკვეულა, რომ მას მანჩინიზე უთქვამს, „იმედია, მართლაც წავა“-ო. ამან გააძლიერა ჭორები, რომ „მანჩოს“ ლუიშ ფიგუს, პატრიკ ვიეირასა და კრესპოს გარდა, უსიამოვნება „იბრაკადაბრასთანაც“ აქვს.

„ჩემი უკმაყოფილება გამოვხატე იმის გამო, რომ შემცვალეს და რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენე. მწვრთნელზე ცუდი არასოდეს არაფერი მითქვამს“ — აღნიშნა იბრაჰიმოვიჩმა.

რობერტო მანჩინი: „ფეხბურთელი ვიყავი და ყველაფერი მესმის. ბევრად უარესი რაღაცებიც გამიკეთებია! ასეთი რამეები არ მიკვირს. პრობლემები არც სხვებთან მაქვს. ვიეირას დიდი ხანი გაუცდა და ნელ-ნელა დგება ფორმაში, თავადაც ნახეთ, რა ბრწყინვალედ გაისარჯა „პალერმოსთან“ შეხვედრაში. სანამ დაშავდებოდა, რეგულარულად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, ამჟამად კი მხოლოდ ბოლო 30 წუთის სათამაშოდაა მზად“.

„პრობლემა მანჩინისთან არასოდეს მქონია. „ინტერში“ მოსაგებად ვარ და ყველანაირად ვცდილობ, გუნდს დავეხმარო, თუმცა, ცხადია, ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილი ვერ ვიქნები. თუ ვინმე ჩემპიონთა ლიგიდან ჩვენი გავარდნის გამო დამნაშავეს ეძებს, ეს მე არ ვარ. „ლივერპულთან“ თამაშზე უარი არ მითქვამს. ასეთი რამ ცხოვრებაში არ გამიკეთებია, მწვრთნელს მინდორზე გასვლა 85-ე წუთზეც რომ შემოეთავაზებინა“ — განაცხადა ფიგუმ.

მიუხედავად ამ კომენტარებისა, აპენინურ ჟურნალ-გაზეთებში „ნერაძურიში“ არსებულ დაძაბულობაზე საუბარი გრძელდება. არ ცხრებიან „მანჩოს“ კრიტიკოსებიც — მერე კი გადაიფიქრა, მაგრამ წასვლის შესახებ განცხადება მაინც არ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერი გაართულაო.

„ვიცი, რომ არასწორად მოვიქეცი, ქმოციებს ავყევი და ის განცხადება გავაკეთე. ჩემს საქციელს ვნანობ, მაგრამ ამ თემაზე საუბარი აღარ მსურს. ყველაფერი გაირკვა და წარსულში დარჩა. ჩვენ ძველებურად ვაგრძელებთ ბრძოლას და ბოლო ტურამდე ასე იქნება. მიჯრით მესამე სკუდეტო უნდა მოვიპოვოთ. „პალერმოსთან“ მოგება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, ხასიათი ერთიორად გამოგვისწორდა“ — დასძინა მანჩინიმ.

კოკი კანდელაკი

მარტინ დემიკელისი (№6) ოლიმპიადაზე ოცნებობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტაცია და პეკინი მიუნხენში

ოტმარ ჰიცფელდმა გადაწყვიტა, როტაციის სისტემას უგანოს და ფეხბურთელები ყოველ შეხვედრაში ფორმისა და შესაძლებლობების მიხედვით შეარჩიოს. მიზეზი: „ბაიერნმა“ ბოლო ხუთ დღეში ორჯერ წაგო. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ: გასული კვირის ხუთშაბათს უეფას თასზე „ანდერლეხტთან“ ნაგები 1:2 და ბუნდესლიგაში 0:2 „კოტბუსთან“, რომელთანაც მიუნხენელთა მძლავრი გუნდი არაფრით არ უნდა დამარცხებულიყო.

ბუნდესლიგის ლიდერთა საბედნიეროდ, წაფორხილდა „ვერდერიც“, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნთან“ ჩამორჩენის შემცირება „ჰამბურგმა“ და „ლევერკუზენმაც“ მოახერხეს.

„ზოგ ფეხბურთელს ჰგონია, რომ გერმანიის ჩემპიონობამდე სეირნობითაც შეიძლება მისვლა — თქვა ჰერ ჰიცფელდმა — ამიტომ როტაციის პრინციპს აღარ გამოვიყენებ და მკაცრად, ფორმის მიხედვით შევარჩევ ყოველი თამაშის წინ შემადგენლობას. იმედი მაქვს, რომ ეს ყველასთვის გაკვეთილად გამოდგება და დასკვნებსაც შესაფერისს გავაკეთებთ“.

საინტერესო რამ მოხდა შაბათს: მარტინ დემიკელისმა მწვრთნელს ნახევარდაცვაში თამაშზე უარი განუცხადა, რის გამოც ჰიცფელდმა ის საერთოდ არ ათამაშა.

დემიკელისთან დაკავშირებით სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი. ამ არგენტინელ ფეხბურთელს პეკინის ოლიმპიადაზე სურს გამოსვლა, რასაც „ბაიერნი“ უკრძალავს, რადგან აგვისტო-სექტემბერში ფეხბურთელები თავად სჭირდება. ამის მიუხედავად, დემიკელისი კლუბს არ ემორჩილება და კატეგორიულად აპირებს ოლიმპიადაზე გამგზავრებას. თუმცა გუშინ მან მწვრთნელს ოფიციალურად მოუბოდიშა.

ცნობისთვის: „ბაიერნმა“ ოლიმპიადაზე გამოსვლა უკვე აუკრძალა ჰოლანდიელ მარკ ვან ბომელსაც.

და კიდევ ერთი ამბავი მიუნხენიდან: შესაძლოა, გუნდიდან წავიდეს ბრაზილიელი ლუსიო, რომელმაც, როგორც ამბობენ, „ბარსელონასთან“ გამონახა საერთო ენა. ვაზეთ AZ-ის მტკიცებით, მომავალ ზაფხულს 29 წლის ლუსიო კატალონიელებს 20 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

პაპუნა კედია

ველტი დიეგოს რეალს უწინასწარმეტყველებს

გერმანული ყოველკვირეული „ველტ ამ ზონტაგის“ ვერსიით, ბრემენის „ვერდერის“ ვარსკვლავ დიეგოს მადრიდის „რეალთან“ წინასწარი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ბრაზილიელის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგებაზე ალემანიური კლუბი თანხმობას იტყვის, თუ „რეალი“ 30 მილიონ ევროს გადიხდის.

„დიეგოს „რეალი“ მოსწონს“ — ამგვარად დაასათაურა „ველტ ამ ზონტაგის“ კორესპონდენტმა თავისი სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ სამეფო გუნდი ოკეანისგაღმელ ნახევარმცველს უკვე შეუთანხმდა და დიეგოს მომავალ სეზონში ესპანურ პრიმერაში ვნახავთ. ბრაზილიელი 2005 წელს „ვერდერმა“ „პორტუდან“ 5 მილიონ ევროდ იყიდა და კლუბიდან გაშვებას 30 მილიონზე ნაკლებად არ აპირებს. დიეგოს კი „მუსიკოსებთან“ კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება.

„ველტს“ დიეგოს „ვერდერთან“ შეუთავსებლობის მიზეზებიც უნახავს: „არის ორი რაღაც, რასაც ბრაზილიელი ფეხბურთელი ბრემენში ვერასდროს შეეჩვევა — ამინდი და გერმანული სამზარეულო“. თან წლეულს „ვერდერი“ ბუნდესლიგაში არცთუ ისე შედეგიანად თამაშობს და დიეგოც იმედგაცრუებული ყოფილა: „საამსეზონოდ დიდი ჯილდოების მოგება დავგეგმეთ, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ვეღარ მოხერხდება“.

„მუსიკოსებმა“ უეფას თასზე „რეინჯერსთან“ დუელი წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ. მატჩის შემდეგ დიეგოს და მის თანაგუნდელებს თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრაზილიელის წინააღმდეგ მისმა გულმხურვალე დამცველმა, „ვერდერის“ სპორტულმა დირექტორმა, კლაუს ალოფსმაც გაილაშქრა: „უეფას თასიდან ჩვენს გამოვარდნაში თავისი წილი დანაშაული დიეგოსაც მიუძღვის“.

„დიეგოს „ბრემენული სამითხე“ ბოლოჟამინდელ წაგებათა გამო დასასრულს უახლოვდება და თუ რომელიმე დაინტერესებული კლუბი „ვერდერის“ მაგიდაზე ბლომად ფულს დაახვავებს, ბრემენელები ფეხბურთელის გასხვისებაზე უარს არ იტყვიან. ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ დიეგოს მადრიდულ ტრანსფერს 2008 წლის ზაფხულში გაჩარხავენ. „ვერდერის“ ფეხბურთელები კი უნდა შეეგუონ ბრაზილიელის გარეშე თამაშს“ — წერს „ველტ ამ ზონტაგი“.

ლადო ხომერიკი

ლიდერების გარეშე

ფრანკ რაიკარდი და ჩიკი ბეგირისტაინი

„ბარსელონას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა განაცხადა, რომ კატალონიურ გრანდს ლიდერი ფეხბურთელების ნაკელებობა აწუხებს. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ალმერიასთან“ თამაშის კონტროლზე თავიდანვე უარი ვთქვით. 5 წუთის განმავლობაში გუნდი რიტმიდან ამოვარდნილი იყო. ამ „ბარსას“ ლიდერი ფეხბურთელები აკლია. საჭიროა გამოცდილი ადამიანები, რომლებიც სხვა ტემპს შემოგვთავაზებენ“ — აღნიშნა ჩიკიმ მედიასთან.

კატალონიელი საფეხბურთო დიდმოხელის კრიტიკა ფრანკ რაიკარდის გუნდს თავს „ალმერიასთან“ მატჩის შესვენებისას დაატყდა. მაშინ ანგარიში 1:1 გახლდათ (გოლები ბოიან კრკიჩმა და პულიდომ გაიტანეს), საბოლოოდ კი შეხვედრა ასევე ფრედ, 2:2 დასრულდა (გოლები სამუელ ეტოოს და კალუ უჩეს ანგარიშზეა). „როცა ვამბობთ, რომ მშვიდად უნდა ვითამაშოთ, ეს სიზანტისა და ბურთის მძიმედ გორაობისკენ მოწოდებას სრულებით არ ნიშნავს, არადა დღეს გუნდი ამას აკეთებდა... ერთადერთი დადებითი „ბარსელონასგან“ ბოიან კრკიჩის და ანდრეს ინიესტას ეპიზოდები იყო“ — ამბობს ბეგირისტაინი.

ლადო ხომერიკი

სარბიელი ᲙᲠᲝᲙᲝ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		19 მარტი						
23:45	123	მანჩესტერი-ბოლტონი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28
23:45	124	ტოტენჰემი-წენდი	3.60	3.20	1.95	1.69	1.26	1.21
		22 მარტი						
19:00	2	მიდლსბრო-დერბი	1.40	4.00	7.40	1.03	1.17	2.59
19:00	4	ნიუკასლი-ფულჰემი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
19:00	5	რედინგი-ბირმინგემი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
16:45	6	ტოტენჰემი-პორტსმუთი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
19:00	7	ასტონ ვილა-სანდერლენდი	1.50	3.50	6.60	1.04	1.22	2.28
19:00	8	ბლეკბერნი-ფულჰემი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
19:00	9	ბოლტონი-ხატი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
21:15	11	ქუორტონი-ვესტ ჰემი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		23 მარტი						
20:00	10	წენდი-არსენალი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
17:30	12	მანჩესტერი-ლივერპული	1.90	3.10	3.90	1.17	1.27	1.72
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		18 მარტი						
23:45	113	კოლჩესტერი-ჰალი	2.90	3.25	2.20	1.53	1.25	1.31
23:45	114	ფულჰემი-ნანტვიჩი	1.60	3.70	4.75	1.11	1.19	2.07
		ინგლისი. I დივიზიონი						
		18 მარტი						
23:45	115	როზერჰემი-ხუთინი	2.85	3.30	2.30	1.52	1.27	1.35
23:45	116	ბადერხუდლი-ბარაიტონი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
		20 მარტი						
23:45	117	ტრანმერე-პორტ ვალი	1.55	3.60	5.75	1.08	1.22	2.21
		ინგლისი. კონფერენსი						
		18 მარტი						
23:45	118	ჭროული-კემბრიჯი	2.80	3.25	2.20	1.50	1.23	1.31
23:45	119	ფორეტ გრინი-ითონი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
23:45	120	ჰიტონი-ეიხფილდი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
23:45	121	ნორთფლიტ-ფეიჩე

დაბალიც და მაღალიც

ესტონეთში ორი ქართველი ჩაუქრობს

გასულმა კვირამ ჩვენი ლეგიონერებისთვის ისე ჩაიარა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მომგებმა მოიგო, წამგებმა წააგო, განსაკუთრებული სტატისტიკაც არავის ჰქონია. ჩავარდნა და ინერტულობის პერიოდი ყველას აქვს, მაგრამ გიორგი ცინცაძეზე არაფერი მოქმედებს. ის სტაბილურად თამაშობს ესტონურ გუნდში და „როკერებს" მორიგი გამარჯვებების მოპოვებაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ ცინცაძის გარდა ესტონეთში მეორე ქართველიც გააქტიურდა — სერგო ათუაშვილმა პირველ ადგილზე მყოფი „კალევიდან" ბოლოადგილოსან ტტუ-ში გადაინაცვლა და თამაშსაც გაუგო გემო

სერგო ათუაშვილი ფარქვეშ ბობოქრობს

ესტონეთი

ათუაშვილმა სეზონი ლიტვურ „ალიტასში" დაიწყო, ესტონურ „კალევში" გააგრძელა და თავისი ადგილი ესტონურსავე ტტუ-ში იპოვა. 223-სანტიმეტრიანმა ქართველმა ცენტრმა ახალი გუნდის მაისურით განვლილ ორ მატჩში უკვე იმაზე მეტი ითამაშა, რაც წინა კლუბებში — „კალევსა" და „ალიტაში" ერთად აღებული. ეს არცაა გასაკვირი. ათუაშვილი აქამდე შედარებით მძლავრ კლუბებში ირიცხებოდა, სადაც კონკურენციას ვერ ძლევდა და სათადარიგოთა სკამზე იყო მიჯაჭვული. ტტუ კი ესტონეთის ერთ-ერთი სუსტი გუნდია და ქართველი ცენტრის დახმარებით სიამოვნებით სარგებლობს. სერგომ სადებიუტო მატჩში ტტუ-ს მაისურით ორმაგი დუბლი შეასრულა (12 ქულა, 10 მოხსნა), ხოლო გასულ ტურში მის გასამეორებლად 2 მოხსნა დააკლდა. ათუაშვილმა „ტრიობეტის" წინააღმდეგ 25 წუთი ითამაშა და 10 ქულას 8 მოხსნა მიაყოლა. მისი გუნდი კი უშანსოდ, 71:90 დამარცხდა და ცხრილის ფსკერს უფრო მყარად მიეჯაჭვა.

ცინცაძის „როკმა" კი, პირიქით, სულ იოლად დაძლია „პარნუს" წინააღმდეგობა (91:55) და ამაში ქართველ გამთამაშებელსაც მიუძღვის წვლილი. გიომ 27 წუთი დაჰყო მოედანზე, 9-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 5-დან 4 საჯარიმოც მოაყოლა და თამაში 16 ქულით, 8 მოხსნითა და 4 პასით დაასრულა. მისი „როკი" კვლავაც მეორეზეა და 2 ქულით ჩამორჩება ტალინის „კალევს".

უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევი" ულებ-ის თასზე გვარიანად შერცხვა და მერვედფინალიდან გავარდნის ზღვარზეა. კიეველებმა ორრაუნდიანი ჯახის პირველი მატჩი შინ, პოლონურ „ტუროვთან" 11 ქულით წააგეს და უიმედო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ქართველ უკანახაზელს ურიგოდ არ უთამაშია, 12 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი. საპასუხო მატჩი დღესაა და, სავარაუდოდ, „ბკ კიევი" ულებ-ის თასისთვის ბრძოლას გამოეთიშება.

კიეველებმა გასულ შაბათს უკრაინის ჩემპიონატში გამარჯვებით გამოიკეთეს ხასიათი — „დნეპრს" მოუგეს სტუმრად და მდევართათვის მიუწვდომელები შეიქნენ. მარკოიშვილის გუნდს ჯერ არ წაუგია და დარჩენილ მატჩებში სულ რომ არაფერი გააკეთოს, რეგულარულ ჩემპიონატს მაინც პირველ ადგილზე დაასრულებს.

„დნეპრთან" მარკოიშვილი შედარებით მოკრძალებული იყო — 20 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა, მისმა გუნდმა კი 87:61 იმარჯვა.

საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისას 5-ქულიანი მატჩები დასჩემდა. ვოვას „არისში" აქამდეც არაერთხელ მოუხვეჭია ამდენი და გასული კვირის ორივე მატჩშიც 5-5 ქულას დასჯერდა.

ჯერ იყო და, „არისმა" ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩი „ტაუსთან" დათმო, ხოლო საბერძნეთის ჩემპიონატში სალონიკელებმა აელ-თანაც მოიხარეს ქედი. ბოისამ, როგორც ვთქვით, ორივე შეხვედრაში 5 ქულა მიითვალა, რაც მისი ქომაგებისთვის მთლად გასახარი ამბავი არ გახლავთ.

ესპანეთი

ტაირონ ელისმა მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი უსუსტესი მატჩი ჩაატარა პრიმერადივიზიონში, თუმცა მისმა „კახასოლმა" მაინც დაამარცხა „ვალიადოლიდი" და გასავარდნი ზონისგან თავი მოშორებით დაიჭირა. ელისმა 26 წუთში 3 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, „კახასოლმა" კი მეტოქეს 81:76 სძლია.

იტალია

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „ტერამომ" სერია A-ში პრინციპული მატჩი მოიგო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველის დაუხმარებლად. ტერამოელებმა სტუმრად საკმაოდ მძლავრი „ბიელა" 100:98 დაამარცხეს და ცხრილის შუაში არიან. ცქიტიშვილს მცირე ტრავმა აქვს და, სავარაუდოდ, მალე დაუბრუნდება მოედანს.

ნბა

ზაზა ფაჩულიამ გასულ კვირაში ერთი იმედისმომცემი მატჩი ჩაატარა — „კლიპერსთან" მოგებულ თამაშში 5 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გამოდგა საკმარისი საიმისოდ, რომ „ატლანტას" მწვრთნელს ის ძირითადში დაებრუნებინა, ან თუნდაც სათამაშო დრო გაეზარდა.

ირაკლი პერტაია

თასი თბილისში დარჩეს!

დღეს სპორტის სასახლეში კოტე მახარაძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი იწყება, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობს — თბილისის „მაკაბი", კიევის „ბუდიველნიკი", თელ ავივის „ჰაპოელი" და ბაქოს „სერვისი".

ტურნირი ორდღიანია. დღეს 17-სა და 19 საათზე ნახევარფინალები გაიმართება, ხვალ კი ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩია. გუშინ თბილისში აზერბაიჯანელები და ებრაელები ჩამოვიდნენ და სპორტის სასახლეში ივარჯიშეს, ხოლო უკრაინული გუნდი წუხელ გვიან ესტუმრა თბილისს.

„სერვისი" ძირითადად აზერბაიჯანის ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული, ხოლო „ბუდიველნიკი", რომელიც უკრაინის სუპერლიგაში მეოთხე ადგილზეა, უძლიერესი შემადგენლობით იქნება. სავარაუდოდ, სწორედ კიეველები იქნებიან თასის მოგების მთავარი ფავორიტები, თუმცა არც ქართული გუნდი აპირებს დათმობას — „მაკაბი" საამტურნიროდ საქართველოს ჩემპიონატის წამყვანი მოთამაშეებით გაძლიერდა. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა „ავიამშენიდან" კოტე ტუღუში და გიორგი ნიკოლაძე დაიმატა, თსუ-დან დავით ბარბაქაძე, ხოლო „დინამოდან" — ვიქტორ სანიკიძე.

თუ „მაკაბი" ფინალში გავიდა, სავარაუდოდ, კიდევ დაიმატებს რომელიმე გამორჩეულ ქართველ მოთამაშეს. ტურნირის სპონსორები არიან: რადიო „ჯაკო", სპორტის სასახლე, კალათბურთის ფედერაცია და თბილისის მერია.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ჰიუსტონში 22-ე რაკეტა გაუშვეს

16 მარტი

ნიუ იორკი 98:109 ატლანტა

ნიუ იორკი: რობინსონი (23), კროუფორდი (4), ჩანდლერი (4), ლი (12), რენდოლფი (13); ჯონსი (14), ბალკმანი (9), მორისი (8), კოლინზი (7), ჯეფრისი (4)

ატლანტა: ბიბი (4), ჯონსონი (28 ქულა, 11 პასი), უილიამსი (25), სმიტი (15), ჰორფორდ (8 ქულა, 10 მოხსნა); ჩილდრესი (22), ფაჩულია (10 წუთი, 3 ქულა, 8 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ლოუ (2), ჯონსი (2), რიჩარდსონი, ვესტი

ჰიუსტონი 104:92 ლეიკერსი

ჰიუსტონი: ელსტონი (31), ჯეკსონი (19), ბეტიე (14), სკოლა (13 ქულა, 11 მოხსნა), მაკგრეიდი (11)

ლეიკერსი: ბრაიანტი (24), ოდომი (17 ქულა, 11 მოხსნა), ტურიაფი (13)

დენვერი 168:116 სიეტლი

დენვერი: ენტონი (26), აივერსონი (24), მარტინი (23), სმიტი (19), ეტკინსი (19), კლეიზა (17), კემბი (13 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი, 4 დაფარება)

სიეტლი: დურანტი (23), უილკოქსი (17 ქულა, 12 მოხსნა), გელაბალე (16)

დეტროიტი 105:84 ნიუ ორლეანი

დეტროიტი: ჰეიესი (29), ბილაფსი (17), პრინსი (13)

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (21), პოლი (14 ქულა, 13 პასი)

მაიამი 73:98 დალასი

მაიამი: ბაროსი (21)

დალასი: ნოვიცკი (21), ჰოვარდი (15)

კლივლენდი 98:91 შარლოტი

კლივლენდი: ჯეიმსი (33 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ილგაუსკასი (16)

შარლოტი: რიჩარდსონი (33), ფელტონი (14)

საკრამენტო 106:100 ტორონტო

საკრამენტო: მარტინი (32), არტესტი (19 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა), მური (17)

ტორონტო: კაპონო (26), ნესტეროვიჩი (20)

„ჰიუსტონი" ვერც „ლეიკერსმა" გააჩერა. ტეხასელებმა ზედიზედ 22-ე თამაში მოიგეს და დასავლეთ კონფერენციაში პირველობა გაიმყარეს. მართალია, „ლეიკერსს" კოჭნატკენი პაუ გასოლი აკლდა, მაგრამ, „ჰიუსტონიც" ხომ არაა სრულ საბრძოლო ფორმაში, აგერ მეათე თამაშია, არ ჰყავს გოლიათი იაო მინი და არც ეყოლება სეზონის ბოლომდე, მაგრამ მაინც უკანმოუხედავად იგებს.

„ლეიკერსმა" უძლეველ მეტოქესთან ბრძოლის მთავარ სტრატეგიად მის ლიდერ ტრეისი მაკგრეიდის თამაშიდან გამოთიშვა დაისახა და აისრულა კიდეც ჩანაფიქრი. მაკგრეიდის პირველ ტაიმში ქულაც არ გაუკეთებია, მეორეში კი 11 „შეაკოწიწა", მაგრამ „რაკეტებმა" ეს ჭირიც გადაიტანეს. შეინ ბეტიემ „ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტი 24 ქულას დააჯერა, რაფერ ელსტონმა კი პირველ მეოთხედში 5 სამქულიანი ჩააგდო და 16 ქულა გააკეთა, ხოლო მესამე მეოთხედში, როცა ბრაიანტისიანებმა მწვავედ შეუტიეს და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს, სკოლამ, ჯეკსონმა და ისევ არტესტმა მათ თავიანთი ადგილი მიუჩინეს. ელსტონმა კიდევ სამი სამქულიანი ჩააგდო და სულ 8 მოუგროვდა, რაც მისი კარიერის რეკორდია, ისევე როგორც 31 ქულა.

ხოცვა-ჟლეტა გაიმართა დენვერში, სადაც იქაურმა „ნაგიტსმა" „სიეტლ სუპერსონიქსს" 48 წუთში 168 ქულა აჯახა და სეზონის რამდენიმე რეკორდი დაამყარა, კონკრეტულად კი თამაშში, ტაიმში (84) და მეოთხედში (48) ნაზვეჭ ქულებში. სარეკორდოა 52-ქულიანი სხვაობაც. ნბა-ს ყველა დროის რეკორდამდე კი კარმელო ენტონის, ალენ აივერსონს და „სიეტლის" სხვა მჩაგვრელებს 18 ქულა დააკლდათ.

კოტე ყორშია

ენდის ვერ ენდოკი

ენდი როდიკი

ინდიან უელსში ტურნირმა ხეირიანად გახურება ვერ მოასწრო და პირველი ხმაურიანი სენსაცია უკვე სახეზეა — კალიფორნიიდან დაიფრინეს ადგილობრივთა ფავორიტი და მეხუთე ნომრად განთესილი ენდი როდიკი. ეს საქმე ტომი ჰაასმა ითავა და წლეულს თავისი ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა. გასული წლის მიწურულს მხარზე ოპერაციის გაკეთების შემდეგ გერმანელი თავის მე-5 ტურნირს თამაშობს და აქამდე თავი არაფრით გამოუჩენია — მეორე წრეს არსად გასცდენია. ჰოდა, ეტყობა, ჰაასს მობეზრდა ასეთი ერთფეროვნება და როდიკიც ამიტომ მიჩოგნა.

ხუმრობა იქით იყოს და ამერიკელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტაბილურობა მისთვის კვლავაც მიუღწეველი ფუფუნებაა. ერთი კვირის წინ ენდი-ბოიმ დუბაიში დამაჯერებლად იმარჯვა, გზად რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი მილეწა და აზიაში ისე იხეირა, მოწოდება ერთხელაც არ დაუთმია. ამის შემდეგ ოკეანისგაღმეთში სიხარულით ალაპარკდნენ, არიქა, ჩვენი ბიჭი ფორმაშია და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ვერც ფედერერი ფედერერობს, იქნება და წლეულს მსოფლიოს პირველი მეჩოგნის ტიტულს კიდევ წაეპოტინოსო. თუმც ნურას უკაცრავად, ისეთი პირი უჩანს, რომ როდიკის დუბაიში გაბრწყინება ერთჯერადი მოვლენა იყო და შანსია, ამის მეტი წლეულს ხეირიანი ვერაფერი ქნას (როგორც უკანასკნელ რამდენიმე სეზონში, როცა ენდიბიჭი მხოლოდ აქა-იქ თუ გაიელვებდა ხოლმე).

თავად როდიკი ამბობს, ეს წაგება არაფერია, მაინც კარგ ფორმაში ვარ და ამას ერთ კვირაში კიბისკეინში დაგანახვებთო. მაგრამ გუშინდელის შემხედვარე, როცა ჰაასმა თავისი საფირმო ბექჰენდით ამერიკელი რიგ მომენტებში სასაცილოდაც აიგდო, ძნელია, ენდიბოის სიტყვაზე ენდო.

ამ კალიბრის არა, მაგრამ ორი მოულოდნელობა კიდევ მოხდა — ერთმანეთის მიყოლებით ჩაალაგებინეს ჩემოდნები ტურნირის მეათე და მეთორმეტე ნომრებს, ტომაშ ბერდიხსა და ფერნანდო გონსალესს. პირველს სტანისლას ვავრინკა გაუმკლავდა, თუმც საამისოდ შვეიცარიელს ბლომად ოფლის ღვრა მოუწია. ჩილელი კი ამ ბოლო დროს ფორმააკრეფილმა მარიო ანჩიჩმა დააშამათა.

გაცილებით წყნარად მიმდინარეობს ქალთა ტურნირი, სადაც ბობოლათა აბსოლუტური უმეტესობა წინ მიიწევს. კაცებისგან განხვავებით, მათ უკვე მესამე წრე დაიწყეს.

კვლავაც ბრწყინვალედ გამოიყურება მარია შარაპოვა — რუსი პრიმა წლეულს ისევ დაუმარცხებელია და იმდენად დამაჯერებლად იქნევს ჩოგანს, რომ წაგებას აზრადაც არ ივლებს. მაშამ ელენი დანილიდუს მოუგო და მართალია, ბერძენი დიდ ხანს ჯიუტად არ თმობდა არაფერს, კლასმა მაინც თავისი ქნა. მეოთხე წრეში შარაპოვა ამჟერი მორესმოს გამამწარებელ უკრაინელ ალიონა ბონდარენკოს დაეტაკება.

სამაგიეროდ, დიდი წვალებით იმარჯვა მეორე რუსმა ფავორიტმა სვეტლანა კუზნეცოვამ. პირველი სეტის ადვილად მოგების შემდეგ კუზნეცოვას ჩათვლიმა და ამით 18 წლის დომინიკა ციბულკოვას მეორე პარტიაში 5:0 დაწინაურების საშუალება მისცა. რუსმა ბევრი იწვალა, მაგრამ ეს სეტი მაინც წაგო და იძულებული გახდა, დაკარგული მესამე და გადამწყვეტ პარტიაში ამოელო — სვეტლანამ ამას წარმატებით გაართვა თავი და ახლა კიდევ ერთ თინეიჯერ, ამჯერად დანიელ კაროლინ ვოზნიაკის შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ, გუშინ სასტიკად გაანადგურა აიკო ნაკამურა.

კახა ლომაშვილი


მარია შარაპოვა

კაცები

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 3 589 000 დოლარი

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:2; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — ნიკოლას ალმაგრო (25, ესპანეთი) 7:6 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (23, ხორვატია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 7:6 7:5; **ტომი რობრედო** (15, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:4 5:7 7:6; **ენდი მიურეი** (11, ბრიტანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6 6:3 6:3; **ივო კარლოვიჩი** (20, ხორვატია) — რიკ დე ვოსტი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 7:6; **ფერნანდო ვერდასკო** (30, ესპანეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 4:6 6:4 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ენდი როდიკი (6, აშშ) 6:4 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ჯონ აისნერი (აშშ) 6:2 7:6; **მარდი ფიში** (აშშ) — იგორ ანდრეევი (31, რუსეთი) 6:4 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (24, ავსტრალია) — სემ ქუერეი (აშშ) 6:4 6:3; **მიხაილ იუჟნი** (13, რუსეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:5 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ფერნანდო გონსალესი (12, ჩილე) 7:5 3:6 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (22, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (29, ჩეხეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (7, არგენტინა) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 6:4 4:6 7:6; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:2 6:2; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — იარკო ნიემინენი (29, ფინეთი) 4:6 7:6 6:3; **მარკოს ბაღდატისი** (18, კვიპროსი) — უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:6 1:6 6:3; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ტომაშ ბერდიხი (10, ჩეხეთი) 2:6 7:6 6:4; **ჟილერმო კანასი** (16, არგენტინა) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2 7:6; **ხუან მონაკო** (21, არგენტინა) — რობინ ჰაზე (ჰოლანდია) 6:2 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (27, გერმანია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2 5:7 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:3 7:6; **რიშარ გასკე** (8, საფრანგეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3 6:2; **ხუან-იგნასიო ჩელა** (28, არგენტინა) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:7 7:6 6:4; **კარლოს მოია** (19, ესპანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 2:6 6:2 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:3 6:7 6:1; **პოლ-ანრი მატიო** (14, საფრანგეთი) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:1 7:6; **ჟო-ვილფრედ ცონგა** (17, საფრანგეთი) — დუდი სელა (ისრაელი) 6:2 6:4; **დონალდ იანგი** (აშშ) — ფელიჩიანო ლოპესი (32, ესპანეთი) 6:4 6:7 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ხირალდო სანტიაგო (კოლუმბია) 6:3 6:3

ქალები

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 100 000 დოლარი

მესამე წრე

დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 6:4 6:2; **სანია მირზა** (21, ინდოეთი) — შაჰარ პირი (9, ისრაელი) 6:7 7:5 6:3; **ალიონა ბონდარენკო** (15, უკრაინა) — ამელი მორესმო (17, საფრანგეთი) 6:1 6:2; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:5 6:3; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — დინარა საფინა (8, რუსეთი) 7:5 6:2; **აგნეშკა რადვანსკა** (10, პოლონეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:3 3:6 63; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:0 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:1 4:6 6:3

ქართველები ბადეში და ბადის გარეთ


მაკა ჩახნაშვილი

კალიფორნიაში მიმდინარე მასტერსის სუპერტურნირის დონემდე ქართველ ჩოგბურთელებს ჯერ ბევრი უკლიათ და ამიტომაც, რანგით დაბალი, ITF-ის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობით უწევთ დაკმაყოფილება.

ამ კვირაში ასეთი რანგის საკმაოდ ბევრი ტურნირი იმართება და ჩვენებურებიც მრავლად გამოჩნდნენ კორტებზე.

კაცებით დავიწყოთ, ძით უმეტეს, რომ მათ, დაწყებისთანავე დაამთავრეს კიდეც თამაში. თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის თიხნარზე 10-ათასიანი შეჯიბრი ტარდება, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი ჩვენებური იყო და ძირითად ბადეში მოხვედრა ვერც ერთმა ვერ მოახერხა. ყველაზე უკეთ 20 წლის ნოდარ ითონიშვილი გაისარჯა, რომელმაც ჯერ უკრაინელ ვიქტორ შანსონს მოუგო 6:3 6:1, შემდეგ რუსი იგორ კოვალიოვი 6:2 6:1 დაამარცხა, მაგრამ გადამწყვეტ, მესამე წრეში ველარაფერს გახდა ATP-ის რეიტინგში მასზე დაბლა, 1502-ე საფეხურზე მყოფ პოლონელ ანჟეი გრუსიცკისთან, 2:6 7:5 1:6 წააგო და ძირითად ბადეში ვერ შეაღწია.

ითონიშვილთან ერთად, ანთალიაში 17 წლის სერგო სიხარულიძე და 18 წლის ალექსანდრე თავხელიძეც თამაშობდნენ, ოღონდაც ისინი პირველივე წრეში დამარცხდნენ — სიხარულიძეს გერმანელმა ტომას გილნერმა სძლია 7:5 7:6, ხოლო თავხელიძე 2:6 1:6 დამარცხდა ავსტრიელ ივან გალიჩთან.

ახლა ქალების შესახებ და ყველაზე წარმომადგენლობითი ქართული დელეგაცია ამ დღეებში ეგვიპტეში, აინ ალოჰნას თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე იყო. ისევე, როგორც წინა კვირას ქაიროში, მანანა შაფაქიძე და ოქსანა კალაშნიკოვა ამჯერადაც ძირითად ბადეში და თანაც განთესილები არიან. კიდევ სამი ჩვენებური კვალიფიკაციიდან ჩაერთო შეჯიბრში, მაგრამ მიზანს ერთმაც ვერ უწია — თეონა ცერცვაძემ პირველ წრეში ყაზახ ოლგა იპოლიტოვას 6:3 6:3 აჯობა, მაგრამ შემდეგ რეიტინგში 910-ე ადგილზე მყოფ შვედ დიანა ერიქსონთან უშანსოდ, 0:6 3:6 დამარცხდა. ანა ჯიქიამ და მარიამ კუპრეიშვილმა კი საწყისი შეხვედრები წააგეს. ჯიქიას უკრაინელმა იულია ჭნატეიკომ 6:3 6:3 მოუგო, ხოლო კუპრეიშვილს 7:5 6:4 სძლია ინდოელმა აკშტიპა ბასავარაჟუმ.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიულ რედინგშია. იქაურ მაგარსაფარზე 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და ჩვენებური, სავარაუდოდ, ძირითად ბადეში უნდა იყოს.

ძირითად ბადეშია და პირველ წრეში კვალიფიკაციიდან წამოსულ 14 წლის რუს დარია გავრილოვას შეხვდება სოფო შაფაოავა, ვინც რუსეთში, სანკტ-პეტერბურგის ჭარდზე მიმდინარე 25-ათასიან ტურნირში იღებს მონაწილეობას.

კიდევ ერთი ჩვენებური, სოფო ქვაცაბაია კი, საბერძნეთშია და პორტუგალიის თიხნარზე, 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს.

კენიური ვანდალიზმი რომში



სამი კორირი

საზოგადოდ, იტალია არ მოიხსენიება სამძლეოსნო გიგანტ ქვეყნებს შორის, მაგრამ აპენინებზე უყვართ მარათონი და ამ სახეობაში თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ჰყავთ. მაგრამ ამ უქმეებზე ქვეყანაში ყველაზე პრესტიჟული, რომის მარათონი რომ გაიმართა, გამარჯვებები უცხოებს დარჩათ. ქალთა გარბენში საპრიზოსთვის ბრძოლის პერსპექტივა უჩანდათ ვიჩენცა სიკარის და ორნელა ფერარას, მაგრამ მათგან ვერც ერთმა ვერ შეძლო დისტანციის არცთუ საპრიზო სამეულში, არამედ საერთოდ გარბენა. კაცთა შორის კი არ მონაწილეობდა თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მარათონელი, ათენის ოლიმპიადის ვერცხლოსანი და ევროპის რეკორდსმენი სტეფანო ბალდინი. იგი უკვე ასაკშია და ტრავმებიც მოსძალებია, თანაც ეს ხომ ოლიმპიური წელიწადია და ბალდინი პეკინისთვის ასვენებს გამძლე, მაგრამ მაინც გაცვეთილ სხეულს.

ბალდინის და კიდევ რამდენიმე სუპერმარათონელის არყოფნაში კი კაცთა შორის გამარჯვება კენიელ ჯონათან იეგო კიპტოოს შერჩა, ვინაც 42 კილომეტრი თანამედროვე დიდრონი მარათონის გამარჯვებულისთვის არც ძალიან ჩქარა და არც ძალიან ნელა, 2 საათში, 9 წუთსა და 58 წამში გაირბინა. კიპტოოს თანამემამულე ჰაერმკვეთთა მთელი არმია ახლდა, თუმც ბოლო კილომეტრებზე ყველა რომ ჩამოშორდა და მარტო დარჩა, საკმაოდ ძლიერ პირქარს შეეჩეხა და მარადიული ქალაქის ქუჩებიც ალბათ ისე მშვენიერი აღარ მოეჩვენა, როგორც იქ დასათვალიერებლად და არა ოფლისსაღვრელად ჩასულ ტურისტთა არმიას. კიპტოოს 4 წამით ჩამორჩა თანამემამულე ფილიპ სანგა კიმუტა და მესამეადგილოსანიც კენიელი ჰერნი კიმელი კაპკიაი გახლდათ. საზოგადოდ, ამ მორბენალი ერის ექვსმა შვილმა შუაში არავინ გაიკარა და მხოლოდ მეშვიდე ადგილიღა შეხვდა ეთიოპიელ (ანუ არაკენიელ) დეჯერე ბირჰანუს.

კენიაში ქალებიც სანაქებო მარათონელები არიან, მაგრამ რომში მათ დიდად ვერ იყოჩაღეს. ქალთა გარბენი რუსებმა დაიპყრეს. მათ შორის გამორჩეულმა გალინა ბოგომოლოვამ არც მეტი, არც ნაკლები 37 კილომეტრი ირბინა მარტომ და ხუთი კილომეტრის შემდეგ უკან ჩამოტოვებული მდევრები ახლოსაც არ გაიკარა. მან დისტანცია 2:22.53 დროში დაფარა და იტალიური მარათონების რეკორდი დააამყარა, რისთვისაც გამარჯვებულის სარგო 16 ათასიან ჰონორართან ერთად ამ რეკორდისთვის 50 ათასიც წაუმატეს. მეორე ადგილზეც რუსი, ლარისა ჟუსკო გავიდა. მესამე კი უნგრელმა ანიკო კალოვიცმა დაიჭირა. საუკეთესო კენიელი, ფლორა კანდიე მხოლოდ მეოთხე იყო.

ამ უქმეებზე კიდევ ერთი დიდი მარათონი გაიმართა, რომელსაც სამხრეთ კორეის დედაქალაქმა სეულმა უმასპინძლა. განსაკუთრებით ძლიერი გამოდგა კაცთა გარბენი, სადაც ცნობილმა კენიელმა სტაიერმა სამი კორირმა 2:07.32 დროში ირბინა და თავისი გრძელი კარიერის მეოთხე შედეგი აჩვენა. კორირი 36 წლისა კია, მაგრამ ამით ხმამაღლა თქვა, ჯერაც ფორმაში ვარ და პეკინშიც მიფრთხილდნენ ჩემზე ახალგაზრდა და გამძლე ანტილოპებიო.

ქალებში 2:26.11 დროში ჩინელმა ჟან შუჯინმა იმარჯვა.

კოტე ყორშია



თავში ისევ ასასორიუა

ბრწყინვალე დასაწყისისა და ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ მარტის ბაშოზე ტემპი დააგდო და ბოლო ოთხ ორთაბრძოლაში მესამე მარცხი იწვნია, ანუ კოკაის ანგარიშზე ცხრა დღის შემდეგ ექვსი მოგებაა სამი წაგების წილ და დარჩენილ ექვს ორთაბრძოლაში ქართველს ორი გამარჯვება სჭირდება, რათა დადებითი ბალანსი ჰქონდეს და წოდებაში მოიმატოს.

გუშინ შავ ზღვად წოდებული ქართველი ესტონელმა ბალტმა დაჩაგრა, დღეს კი ჩვენებურის მეტოქე შვიდმოგებიანი ჰოკოტურიკი იქნება.

ელიტარულ, მაკუჩის დივიზიონს კვლავაც დაუმარცხებლად ლიდერობს იმპერატორის თასის 21-გზის მომგები მონღოლი იოკოძუნა ასასორიუ, მის უკან კი რვა-რვა მოგებით მეორე მონღოლი დიდკაცი ჰაკუჰო და რიგით მაეგაშირები — ტაკამისაკარი, ტოჩიოძანი და ჰომასიო არიან.

ქვედა დივიზიონ ძურიოს ცხრიდან რვა მოგებით 26 წლის კიძურაიამა ლიდერობს. 7-7 გამარჯვება აქვთ ტოჩინოშინად წოდებულ ლევან გორგაძეს, კიტაკაიკის და ტამანოსიმას. 20 წლის ქართველმა გუშინ ყოფილი სეკივაკე ტოსანოუში დასცა, დღეს კი კიტაკაიკის დაეჭიდება.

სლოვაკეთი განზე დარჩა

საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები სლოვაკეთის საერთაშორისო ტურნირს არასათანადო მომზადების გამო გამოტოვებს. ხოვ მკლავჭიდელს ტრავმამ ვარჯიშის საშუალება არ მისცა და ტურნირიც ქართველთა გარეშე ჩაივლის. სლოვაკეთში წასვლამდე კი საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ შინაური პირველობაც გადაიდო.

საქართველოს საუკეთესო მკლავჭიდელები საბოლოოდ 14-15 აპრილს გაირკვევიან და სწორედ ამის მერე შეირჩევიან ის ბიჭები, რომლებიც მაისის დასაწყისში იტალიის საერთაშორისო ტურნირზე წავლენ. იგივისის პირველ რიცხვებში კი უკვე ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება.

ლექსო მაისურაძე

NHL რეგულარული ჩემპიონატი

16 მარტი

პიტსბურგი 7:1 ფილადელფია
2:0 3:1 2:0
1:0 მალკინი (5), 2:0 სიკორა (9), 3:0 კენედი (25), 3:1 კნუბლი (33), 4:1 მალკინი (35), 5:1 ჰოსა (36), 6:1 სიკორა (49), 7:1 გილი (56)

კოლუმბუსი 4:3 დეტროიტი
1:0 3:2 0:1
1:0 მელოტრა (4), 2:0 ტოლეფსენი (27), 3:0 მელოტრა (28), 3:1 კოპეცკი (30), 4:1 ჟერდევი (32), 4:2 ფრენცენი (36), 4:3 ფრენცენი (58)

ჩიკაგო 2:4 კალგარი
1:1 0:3 1:0
0:1 ოკოინი (2), 1:1 ტეივსი (11), 1:2 იგინლა (22), 1:3 ჰუსელიუსი (25), 1:4 ფანაფი (34), 2:4 ლანგი (45)

სან ხოსე 1:2 ედმონტონი
1:0 0:1 0:0 0:0 (0:1 გულიტეგით)
1:0 მარლო (18), 1:1 ჰემსკი (35)

კაროლინა 5:1 ოტავა
2:1 1:0 2:0
0:1 ჰიტლი (4), 1:1 ივზი (7), 2:1 კორვო (11), 3:1 უოკერი (26), 4:1 კორვო (43), 5:1 კორვო (58)

ვაშინგტონი 2:1 ბოსტონი
1:0 0:1 0:0 0:0 (1:0 გულიტეგით)
1:0 ფიოდოროვი (19), 1:1 კობასიუ (33)

ფლორიდა 3:1 ატლანტა
2:0 0:1 1:0
1:0 დვორჟაკი (3), 2:0 იოკინენი (14), 2:1 კოვალჩუკი (21), 3:1 ოლეში (41)



წითლებმა სარეკორდო გააშავეს

ზე-14-ში მეხუთე ტურის მატჩები ჩატარდა და ჯერჯერობით არ გამოჩენილა „კრუზეიდერზისა“ და „შარკსის“ დამმარცხებელი გუნდი. „ჯვაროსნებმა“ ამჯერად უმოწყალოდ ააოხრეს სამხრეთაფრიკული „ჩიტაზი“. ახალზელანდიელებმა სტუმრებს საჯარიმოც კი არ გაუტანეს, მხოლოდ ლელოებით და გარდასახვებით გავიდნენ ფონს. „კრუზეიდერზმა“ საერთო ჯამში 9 ლელო და 5 გარდასახვა მოაგროვა.

თამაში ცალკარა და თვალსაჩინო გამოდგა. სასტვენიდან სასტვენამდე „ჰეპარდებს“ საკუთარ ოცდაორში უწევდათ დგომა, მაგრამ თავის დაცვას ვერ ახერხებდნენ. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 33:0 მოიგეს. სამხრეთაფრიკელთაგან ერთადერთი ლელო ჯონგი ნოკვემ გაიტანა შესვენების შემდეგ, გარდასახვა კი კონრად ბერნანლის ანგარიშზეა.

„შარკსმა“ გასვლაზე „ლაიონზს“ მოუგო. იოჰანესბურგში გამართული შეხვედრა უხვქულიანობით ვერა, მაგრამ დაძაბულობით კი გამოირჩა. რომ არა „ლომების“ თავგანწირული რაგბობა, უფრო სოლიდური ანგარიშიც შეიძლებოდა ყოფილიყო. სტუმართაგან ბევი ბოთას ლელოს რორი კოკოტმა გარდასახვა და სამი საჯარიმო შეაწია, მასპინძლებმა კი 8 ქულა ჯაკო შალკვიკის საჯარიმოთი და ფან დერ მერვეს გვიანი ლელოთი მოაგროვეს.

სენსაციური შედეგით დასრულდა „რედზისა“ და „ბულზის“ მატჩი — ტრადიციულად საკუთარ მოედანზე ძლიერმა „წითლებმა“ ქვა ქვაზე არ დატოვეს შარშანდელი ჩემპიონებისგან.

ზურაბ მიგრიაული

ზე-14 2008

ჩიფსი 26:35 შტორმერზი
ბრომბიზი 15:33 ჰარიკანზი
ბლუზი 17:27 ფორსი
კრუზეიდერზი 55:7 ჩიტაზი
რედზი 40:8 ბულზი
ლაიონზი 8:16 შარკსი

კრუზეიდერზი	5	5	0	0	+141	4	24
შარკსი	5	5	0	0	+36	1	21
ჰარიკანზი	5	4	0	1	+30	2	18
ბლუზი	5	3	0	2	+72	4	16
ფორსი	5	3	0	2	+1	3	15
ვარათაზი	4	3	0	1	+24	1	13
შტორმერზი	5	2	0	3	-4	4	12
რედზი	5	2	0	3	-17	2	10
ბრამბიზი	5	2	0	3	-22	2	10
ჩიფზი	5	2	0	3	-42	1	8
ბულზი	5	2	0	3	-60	0	8
ლაიონზი	5	1	0	4	-68	1	5
ჰაილენდერზი	4	0	0	4	-15	4	4
ჩიტაზი	5	0	0	5	-76	4	4

რებელინის სამი წამი

გერმანული „გეროლშტაინერის“ იტალიელმა მრბოლმა დავიდე რებელინიმ 36 წლის ასაკში აისრულა ძველისძველი ოცნება და პრესტიჟული ერთკვირიანი რბოლა „პარიზი-ნიცა“ მოიგო.

რებელინი სამჯერ იყო „პარიზი-ნიცას“ ტოპ-სამეულში — 2003, 2005, 2007 წლებში და აი, ამ პოდიუმების შემდეგ რებელინიმ წლეულს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიც დაიპყრო. საბოლოო ჩათვლაში ვეტერანმა იტალიელმა ოდენ სამი წამით აჯობა თავის თანამემამულეს, ფრანგული AG2R-ის წევრ რინალდო ნოჩენტინის, ხოლო მესამე ადგილზე გასული ბელგიური „ლოტოს“ უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი გამარჯვებულს 48 წამით ჩამორჩა.

არადა, რებელინიმ ერთი ეტაპის მოგებაც ვერ მოახერხა, მაგრამ მთელი კვირის მანძილზე სტაბილურად იარა და დაუფასდა კიდეც. ჯერ კიდევ მეოთხე ეტაპის შემდეგ, წინ ჰოლანდიელი რობერ ჰესინკი იყო და რებელინი მასთან 32 წამს აგებდა. ჰესინკმა დიდებულად იარა მეოთხე ეტაპზე, როდესაც ველოქარავანმა ლეგენდარული ვანტუს მთა დალაშქრა. ჰოლანდიელის სამთო იერიშს მხოლოდ შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ ვიცე-ჩემპიონი, ავსტრალიელი კედელ ევანსი გამოეხმაურა და ბოლოს ისე მოხდა, რომ ვანტუს ეტაპი მთელი აღმართის მანძილზე ჰესინკის უკან მყოფმა ევანსმა მოიგო.

მეხუთე ეტაპზე ესპანელმა კარლოს ბარედომ იმარჯვა, მეექვსეზე კი ფრანგი სილვენ შავანელი იყო საუკეთესო. რებელინი ყველა ამ ეტაპზე მოწინავე ჯგუფში იყო და დასკვნითი, მეშვიდე ეტაპის წინ ლიდერის ყვითელი მაისურა, უკვე მას ეცვა.

ეცვა და აღარც გაუხდია. ბოლო ეტაპზე ყველას ესპანელმა ლუის სანჩესმა აჯობა, რებელინიმ კი თავისი სამწამიანი უპირატესობა შეინარჩუნა და „პარიზი-ნიცას“ რეკორდი დაამყარა — ასეთი მცირე სხვაობით ეს რბოლა აქამდე არავის მოუგია. შორეულ 1972 წელს ველორბოლის ლეგენდების, ფრანგი რაიმონ პულიდორისა და ჰოლანდიელი იოპ ზოტემელკის დავაში ფრანგმა ოთხწამიანი უპირატესობით იმარჯვა და აი, ახლა რებელინიმ წამით ნაკლები სხვაობით აჯობა ნოჩენტინის.

მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია. 13-16 მარტი

აჰა, მიიწურა ზამთარი

გასულ უქმეებზე, ფაქტობრივად, დასრულდა 2007-08 წლების ზამთრის სპორტული სეზონი და მთისა თუ ბარის მოთხილამურეები, ტრამპლინიდან მხტომელები, ბიატლონისტები და კიდევ ბევრი სხვა სახეობის წარმომადგენლები კუთვნილ შვებულებაში გავიდნენ.

მსროლელმა მოთხილამურეებმა სეზონი ნორვეგიულ ჰოლმენკოლენში დაასრულეს. მასპინძელთა კერპმა, მსოფლიოს თასის მეხუთედ მომგებმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა მხოლოდ პირველ, სპრინტერულ რბოლაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი ავადმყოფობის გამო თხილამურები და შაშხანა მოიხსნა. სპრინტი მეორე ნორვეგიელმა ემილ ჰეგლე სვენდსენმა მოიგო და დიდი შანსი ჰქონდა, გენერალურ კლასიფიკაციაში დიადი თანამემამულის შემდეგ დამდგარიყო, მაგრამ დასკვნითი, მასობრივი სტარტით რბოლა მანაც გამოტოვა და საბოლოო ჯამში მეორე ადგილი რუს დმიტრი იაროშენკოს ერგო.

ქალთა გამარჯვებულის ვინაობა კი სწორედ ჰოლმენკოლენში გაირკვა. პირველობაზე პრეტენზია სამს ჰქონდა — შარშანდელ ტრიუმფატორს, გერმანელ ანდრეა ჰენკელს, 2005 წლის გამარჯვებულ ფრანგ სადრინ ბაიის და ჰენკელის ახალგაზრდა თანამემამულე მაგდალენა ნოინერს. დასკვნით ეტაპზე ვერც ერთმა ვერ ივარგა, მაგრამ ნოინერი კონკურენტებზე ოდნავ სტაბილური იყო და გამარჯვებულის სარგო დიდი ბროლის გლობუსი სწორედ მას ერგო — საბოლოო ჩათვლაში მაგდალენამ ოდენ 18 ქულით აჯობა ბაიის, ხოლო ჰენკელმა ჰოლმენკოლენში ისე უხეიროდ იასპარეზა, კინაღამ მესამე ადგილიც დაკარგა.

კაცები

სპრინტი. 10 კმ ორი სასროლეთით

1. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია)	25 წთ 19,9 წმ (0 აცდენა)
2. მიხაელ რიოში (გერმანია)	25.44,4 (0)
3. ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია)	25.51,0 (1)
4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი)	26.05,2 (1)
5. ფროდე ანდერსენი (ნორვეგია)	26.29,8 (3)

გამოდევნება. 12,5 კმ ოთხი სასროლეთით

1. ივან ჩერეზოვი (რუსეთი)	35 წთ 10,96 წმ (2 აცდენა)
2. ფრიდრიხ პინტერი (ავსტქრია)	+22,1 წმ (3)
3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია)	+47,4 (5)
4. მიხაელ გრაისი (გერმანია)	+50,7 (4)
5. მიხაელ რიოში (გერმანია)	+1.08,0 (4)

მასსტარტი. 15 კმ ოთხი სასროლეთით

1. მიხალ შლეზინგერი (ჩეხეთი)	39 წთ 11,97 წმ (1 აცდენა)
2. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი)	+0,1 წმ (0)
3. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია)	+5,1 (2)
4. ანდრეი მაკოვეევი (რუსეთი)	+6,6 (2)
5. ჩენ ჟანი (ჩინეთი)	+33,4 (4)

საბოლოო მდგომარეობა

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია)	869 ქულა
2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი)	696
3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია)	687
4. მიხაელ გრაისი (გერმანია)	596
5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი)	573
6. ბიორნ ფერი (შვედეთი)	568
7. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი)	541
8. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია)	512
9. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი)	493
10. ანდრეას ბირნბახერი (გერმანია)	481

ქალები

სპრინტი. 7,5 კმ ორი სასროლეთით

1. სვენტლანა სლეპცოვა (რუსეთი)	21 წთ 47,6 წმ (1 აცდენა)
2. ტორა ბერგერი (ნორვეგია)	21.55,0 (0)
3. კატი ვილჰელმი (გერმანია)	21.57,5 (0)
4. კატრინ ჰიტცერი (გერმანია)	22.01,5 (1)
5. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	22.03,2 (2)

გამოდევნება. 10 კმ ოთხი სასროლეთით

1. სვეტლანა სლეპცოვა (რუსეთი)	33 წთ 01,54 წმ (1 აცდენა)
2. კატი ვილჰელმი (გერმანია)	+27,7 წმ (1)
3. სიანინ ლიუ (ჩინეთი)	+47,8 (1)
4. სადრინ ბაიი (საფრანგეთი)	+1.11,4 (2)
5. ტორა ბერგერი (ნორვეგია)	+1.36,0 (3)

მასსტარტი. 12,5 კმ ოთხი სასროლეთით

1. კატი ვილჰელმი (გერმანია)	37 წთ 43,06 წმ (0 აცდენა)
2. სოლვეიგ როგსტადი (ნორვეგია)	+53,0 წმ (1)
3. მიქაელა პონცა (იტალია)	+1.03,9 (1)
4. ოქსანა ხვოსტენკო (უკრაინა)	+1.12,7 (1)
5. მარტინა გლაგოვი (გერმანია)	+1.14,7 (1)

საბოლოო მდგომარეობა

1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია)	818 ქულა
2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი)	805
3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	766
4. კატი ვილჰელმი (გერმანია)	749
5. მარტინა გლაგოვი (გერმანია)	679
6. ეკატერინა იურევა (რუსეთი)	671
7. ტორა ბერგერი (ნორვეგია)	664
8. სვეტლანა სლეპცოვა (რუსეთი)	579
9. ჰელენა იუნსონი (შვედეთი)	544
10. მიქაელა პონცა (იტალია)	515



მაგდალენა ნოინერი წყალშიც კარგია

მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი ქალებში

1983	გრუ ოსტვიკი (ნორვეგია)	1996	ემანუელ კლარე (საფრანგეთი)
1984	მეტე მესტადი (ნორვეგია)	1997	მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
1985	სანა გრონლიდი (ნორვეგია)	1998	მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
1986	ევა კორპელა (შვედეთი)	1999	მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
1987	ევა კორპელა (შვედეთი)	200	მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
1988	ანა ლინ ელვებაკი (ნორვეგია)	2001	მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
1989	ელენა გოლოვინა (სსრკ, რუსეთი)	2002	მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
1990	ირინა ადამიჩკოვა (ჩეხეთი)	2003	მარტინა გლაგოვი (გერმანია)
1991	სვეტლანა დავიდოვა (რუსეთი)	2004	ლივ გრეტ პუარე (ნორვეგია)
1992	ანფისა რეზცოვა (რუსეთი)	2005	სადრინ ბაიი (საფრანგეთი)
1993	ანფისა რეზცოვა (რუსეთი)	2006	კატი ვილჰელმი (გერმანია)
1994	სვეტლანა პარამიგინა (ბელარუსი)	2007	ანდრეა ჰენკელი (გერმანია)
1995	ანა ბრიანი (საფრანგეთი)	2008	მაგდალენა ნოინერი (გერმანია)

ამბერის ტურნირი

ნიცა. საფრანგეთი. 14-28 მარტი

II ტური

ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	0,5:0,5; 1:0	ბორის გელფანდი (ისრაელი)
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	0:1; 0:1	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)
სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	0,5:0,5; 0:1	ლევონ არონიანი (სომხეთი)
ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5; 1:0	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	1:0; 0:1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	0,5:0,5; 1:0	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)

პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიის შედეგები



ნიცური სამაია

მეორე ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში სამ-სამი ქულით ერთბაშად სამი დიდოსტატი მოექცა — ვიშვანათან ანანდი, ვასილ ივანჩუკი და ლევონ არონიანი. მათ კვალში უდგას 17 წლის მაგნუს კარლსენი, რომელიც წარმატებულ თამაშს განაგრძობს და ამ ტურნირის მოგებასაც ეშურება.

პირველ ტურში მან ვასილ ივანჩუკთან ქულანახევარი დაკარგა, მაგრამ მეორეში გამოფხიზლდა და ლუკ ვან ველს ორივე შეხვედრა მოუგო.

პირველად მეტოქეებმა თვლალხუჭუნა პარტია ითამაშეს, კარლსენს კი შავი ფიგურები ერგო.

დებიუტში მოჭადრაკეებმა ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშეს, ნორვეგიელმა თეთრებს ცენტრიდან პაიკებით შეუტია, მე-10 სვლაზე როქი გააკეთა და ასპარეზზე მხედრები გამოუშვა. ვიკინგმა მანევრებს მიმართა, ვან ველს დიდი ძალებით მიაწვა და 26-ე სვლაზე დაამარცხა.

სწრაფ პარტიაში დიდოსტატებმა სლავური დაცვა აირჩიეს. ეს შეხვედრაც კარლსენის უპირატესობით წარიმართა, მან შეტევების გასაქანი არ მისცა მეტოქეს და 30-ე სვლაზე დაამარცხა.

ლაშა გეგეჭკორი

სატურნირო ვითარება

1. ვიშვანათან ანანდი	3
2. ვასილ ივანჩუკი	3
3. ლევონ არონიანი	3
4. მაგნუს კარლსენი	2,5
5. ვესელინ ტოპალოვი	2,5
6. ალექსანდრ მოროზევიჩი	2
7. სერგეი კარიაკინი	2
8. ვლადიმირ კრამნიკი	2
9. შაჰრიარ მამედიაროვი	1,5
10. ბორის გელფანდი	1
11. პეტერ ლეკო	1
12. ლუკ ვან ველი	0,5

მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი. ბორმიო. იტალია. 14-16 მარტი



ვირპი ისევ ვიპია

იტალიურ ბორმიოში მთის მოთხილამურეთა კვალად სამსოფლიოსთასო ბატალიები ბარის მოთხილამურეებმაც დაასრულეს.

კაცთა შორის გამარჯვებულის სარგო დიდი ბროლის გლობუსის მფლობელის ვინაობა ადრევე იყო გარკვეული, რადგანაც ჩეხი ლუკაშ ბაუერი წლეულს შეუდარებელი იყო და დიდი მკითხაობა, არც ქალთა შორის საუკეთესოს დადგენას სჭირდებოდა — თხილამურობის ფინელი პრიმა ვირპი კუიტუნენი გვარიანად უსწრებდა კონკურენტებს და ბორმიოში მოპოვებული ორი გამარჯვებით მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის უპირატესობას.

ორი მოგება ჩაიწერა თავის აქტივში ფრანგმა ვენსან ვიტოზმაც, რომელმაც ბაუერი მასობრივი სტარტით რბოლაშიც დაჯაბნა და გამოდევნებაშიც. ოღონდაც, თითქმის მთელი სეზონის მანძილზე ვიტოზს ლირებული არაფერი გაუკეთებია და ბორმიოში შესრულებული დუბლის მიუხედავად, გენერალურ კლასიფიკაციაში ათეულს მიღმა დარჩა.

კაცები

3,3 კმ ინდივიდუალური. თავისუფალი

1. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია)	8 წთ 31,7 წმ
2. ტორდ ასლე გიერდალენი (ნორვეგია)	8.31,8
3. მარტინ იაკში (ჩეხეთი)	8.33,5
4. დარიო კოლოგნა (შვეიცარია)	8.34,2
5. ჯორჯო დიჩენტა (იტალია)	8.35,1

20 კმ. მასსტარტი. კლასიკური

1. ვენსან ვიტოზი (საფრანგეთი)	51 წთ 27,5 წმ
2. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	51.45,8
3. ტორდ ასლე გიერდალენი (ნორვეგია)	52.19,6
4. ვალერიო ჩეჩი (იტალია)	52.33,2
5. სიმონ ოსტენსენი (ნორვეგია)	52.48,0

15 კმ გამოდევნება

1. ვენსან ვიტოზი (საფრანგეთი)	40 წთ 19,5 წმ
2. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	41.29,7
3. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია)	42.18,0
4. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია)	42.18,4
5. სამი იაუჰოიარვი (ფინეთი)	42.18,5

საბოლოო მდგომარეობა

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	1462 ქულა
2. რენე ზომერფელდი (გერმანია)	829
3. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია)	783
4-5. ტორდ ასლე გიერდალენი (ნორვეგია)	692
4-5. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია)	692
6. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	656
7. ანდერს სოდერგრენი (შვედეთი)	549
8. აქსელ ტაიხმანი (გერმანია)	543
9. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია)	527
10. ვალერიო ჩეჩი (იტალია)	510

ქალები

2,5 კმ. ინდივიდუალური. თავისუფალი

1. კლაუდია ნისტადი (გერმანია)	7 წთ 46,4 წმ
2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	7.52,0
3. რიიტა ლიზა როპონენი (ფინეთი)	7.55,7
4. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	7.59,8
5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია)	8.00,6

10 კმ. მასსტარტი. კლასიკური

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	30 წთ 52,0 წმ
2. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი)	30.52,6
3. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია)	30.55,0
4. მარიანა ლონჯა (იტალია)	30.58,8
5. კლაუდია ნისტადი (გერმანია)	31.18,00

10 კმ გამოდევნება

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	30 წთ 28,1 წმ
2. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი)	30.28,4
3. კლაუდია ნისტადი (გერმანია)	31.07,7
4. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა)	31.30,6
5. მარიანა ლონჯა (იტალია)	31.42,2

საბოლოო მდგომარეობა

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	1552 ქულა
2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	1255
3. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი)	1096
4. შარლოტა კალა (შვედეთი)	1046
5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია)	969
6. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა)	957
7. არიანა ფოლისი (იტალია)	934
8. კლაუდია ნისტადი (გერმანია)	921
9. აინო კაისა საარინენი (ფინეთი)	826
10. ევი ზახენბახერი (გერმანია)	736

მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი ქალებში

1982 ბერიტ აუნლი (ნორვეგია)	1996 მანუელა დი ჩენტა (იტალია)
1983 მარია ლიზა ჰიამალიაინენი (ფინეთი)	1997 ელენა ვიალბე (რუსეთი)
1984 მარია ლიზა ჰიამალიაინენი (ფინეთი)	1998 ლარისა ლაზუტინა (რუსეთი)
1985 ანეტ ბო (ნორვეგია)	1999 სტეფანია ბელმონდო (იტალია), ბენტე სკარი (ნორვეგია)
1986 მარიო მატიკაინენი (ფინეთი)	2000 ბენტე სკარი (ნორვეგია)
1987 მარიო მატიკაინენი (ფინეთი)	2001 იულია ჩეპალოვა (რუსეთი)
1988 მარიო მატიკაინენი (ფინეთი)	2002 ბენტე სკარი (ნორვეგია)
1989 ელენა ვიალბე (სსრკ, რუსეთი)	2003 ბენტე სკარი (ნორვეგია)
1990 ლარისა ლაზუტინა (სსრკ, რუსეთი)	2004 გაბრიელა პარუკი (იტალია)
1991 ელენა ვიალბე (რუსეთი)	2005 მარიტ ბიორგენი (ნორვეგია)
1992 ელენა ვიალბე (რუსეთი)	2006 მარიტ ბიორგენი (ნორვეგია)
1993 ლიუბოვ ეგოროვა (რუსეთი)	2007 ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)
1994 მანუელა დი ჩენტა (იტალია)	2008 ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)
1995 ელენა ვიალბე (რუსეთი)	

შლირენცაუერი დაფრინავს

რომ არა წლების გასაყარზე გამართული უპოპულარულესი „ოთხი მთის ტურზე", რომელიც სახელოვანი ფინელის, იანე აჰონენის გამარჯვებით დასრულდა, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ტრამპლინიდან მხტომელთა 2007-08 წლების სეზონმა ავსტრიელთა სრული ტრიუმფით ჩაიარა.

ტომას მორგენშტერნმა და გრეგორ შლირენცაუერმა, იმ „ოთხ მთას" თუ არ ჩავთვლით, მართლაც ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც შეიძლებოდა. თანაც, თუ სეზონის პირველ ნახევარში მორგენშტერნი ბატონობდა და, ტურინის 2006 წლის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა, სწორედ საწყის ეტაპებზე პერმანენტული გამარჯვებებით დაიბევა კიდევ მსოფლიოს თასის გათამაშების გენერალურ კლასიფიკაციაში პირველი ადგილი, ბოლოსკენ, უკვე 17 წლის შლირენცაუერის ჯერი დადგა.

პატარა „შლირომ" ტრამპლინიდან ფრენაში მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო, „ჩრდილოეთის ტურნეზეც" იმარჯვა და სლოვენიური პლანიცას გიგანტურ ტრამპლინზე გამართულ სეზონის დასკვნით ხტომებშიც ყველას უზარმაზარი უპირატესობით აჯობა.

შლირენცაუერი პლანიცაში, მართლაც რომ დაფრინავდა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ — ეს პატარა ბიჭი, უკვე კარგა დიდი ვეშაპია და უახლოეს მომავალში, ძნელად, მას კონკურენცია ვინმემ გაუწიოს.

მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი. პლანიცა. სლოვენია. 14-16 მარტი

ტრამპლინიდან ფრენა HS 215 პირადი

1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)	447,0 ქულა (232,5 მ და 225,0 მ)
2. იანე აჰონენი (ფინეთი)	427,8 (212,5 და 221,5)
3. ბიორნე ეინარ რომორენი (ნორვეგია)	420,6 (209,5 და 21670)
4. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია)	420,1 (210,0 და 215,5)
5. ანდერს ბარდალი (ნორვეგია)	419,7 (209,5 და 214,0)

ტრამპლინიდან ფრენა HS 215 გუნდური

1. ნორვეგია (ტომ ჰილდე, ანდერს იაკობსენი, ანდერს ბარდალი, ბიორნ ეინარ რომორენი)	1715,1 ქულა
2. ფინეთი (იანე ჰაპონენი, მატი ჰაუტამაეკი, იუსი ჰაუტამაეკი, იანე აჰონენი)	1615,1
3. ავსტრია (მარტინ კოხი, ტომას მორგენშტერნი, ანდრეას კოფლერი, გრეგორ შლირენცაუერი)	1477,4
4. სლოვენია (პრიმოჟ პიკლი, იური ტერესი, რობერტ კრანიეცი, იარნი დამიანი)	1393,1
5. ჩეხეთი (ანტონინ ჰაჟეკი, რომან კუდელკა, ბორეკ სედლაკი, იან მატურა)	1378,9

ტრამპლინიდან ფრენა. HS 215 პირადი

1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)	442,1 ქულა (217,0 მ და 231,0 მ)
2. მარტინ კოხი (ავსტრია)	435,2 (216,5 და 229,5)
3. იანე ჰაპონენი (ფინეთი)	418,8 (203,5 და 220,5)
4. რობერტ კრანიეცი (სლოვენია)	418,5 (210,5 და 214,5)
5. იანე აჰონენი (ფინეთი)	397,2 (200,0 და 208,5)

საბოლოო მდგომარეობა

1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია)	1794 ქულა
2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)	1561
3. იანე აჰონენი (ფინეთი)	1291
4. ტომ ჰილდე (ნორვეგია)	1228
5. ანდერს ბარდალი (ნორვეგია)	942
6. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია)	827
7. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია)	778
8. იანე ჰაპონენი (ფინეთი)	755
9. სიმონ ამანი (შვეიცარია)	728
10. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია)	715

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

გახარებულები და ფილოსოფოსები

„ეს ფანტასტიკაა. მე ჩემპიონობა მინდა და სეზონის უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდი. ერთია ცუდი — პოდიუმზე ჩემს გვერდით ჰეიკი რომ არ იდგა. პირველივე რბოლაში დუბლი გუნდის მიერ გაწეული სამუშაოს ღირსეული დაფასება იქნებოდა“ — წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის პირველი ეტაპის, ავსტრალიური დიდი პრიზის გამარჯვებული ლუის ჰემილტონი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და არც გაემტყუნება — „მაკლარენმა“ ურთულესი სეზონათაშორის პერიოდი გამოიარა და ავსტრალიური რბოლის წინ ყველა „ფერარის“ სიძლიერესა და უპირატესობაზე საუბრობდა.

რონ დენისის საჯინიბოში გაუძლეს ამ ზეწოლას. თავად დენისმაც გაუძლო, გუნდის მთელმა შემადგენლობამაც და მრბოლელებმაც — ჰემილტონმა და ჰეიკი კოვალაინენმა მელბურნში დიდებული სარბოლო უიქენდი ჩაატარეს და რომ არა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის მორიგი გასვლა, დუბლსაც გააკეთებდნენ.

„აშკარაა, რომ დაკავებული ადგილი არ შეესაბამება ჩემს კონკურენტუნარიანობას — განაცხადა საბოლოო ჯამში მეხუთე ადგილზე გასულმა კოვალაინენმა — სამწუხაროდ, პეისკარის მორიგმა გამოჩენამ მე ორი-სამი ადგილით უკან დამწია. მიუხედავად ამისა, ავსტრალიური უიქენდით კმაყოფილი ვარ და ვამაყობ, რომ ამ გიჟურ რბოლაში ფინიშამდე მივაღწიე.“

„მაკების“ სიხარული, მით უმეტეს, მათი უმთავრესი მეტოქის, „ფერარის“ სრული კრახის ფონზე, გასაგებია, თუმც თავად რონ დენისი არ ჩქარობს შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებას და ამბობს, რომ „ფერარი“ ძალიან ძლიერია.

„ფორმულა I-ის სამყაროში ყველა გუნდს შეიძლება ჰქონდეს ჩავარდნა და შავი დღეები. „ფერარი“ ძალიან ძლიერია და მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ ისინი შემდეგ რბოლასაც ჩაავდებენ. „სკუდერია“ უკვე მალაიზიაში იქნება კონკურენტუნარიანი და ასე გაგრძელდება მთელი სეზონის მანძილზე — ბრაძანა „მაკლარენის“ შეფმა და იქვე დაამატა, რომ მომავალ კვირას გასამართ მალაიზიის დიდ პრიზს ვერ დაესწრება — მალაიზიაში არ ვიქნები და ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახალი ჭორები არ აგორდეს. ძალიან მინდა რბოლას დავესწრო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ დღეებში ინგლისში უნდა ვიყო. ეს მხოლოდ გამონაკლისი იქნება — ყველა სხვა რბოლისას მე ჩემს ჩვეულ ადგილზე ვიქნები“.

და, რა ხდება ამ დროს „ფერარის“ ბანაკში? იტალიელთა პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემელომ მოკლე კომენტარი გააკეთა: „მელბურნში ჩვენ კარგი გაკვეთილი მივიღეთ და დავინახეთ, რომ გაცილებით მოკრძალებულები უნდა ვიყოთ. იმედია, ამ გაკვეთილს გავითვალისწინებთ და შემდეგი რბოლისას „ფერარის“ ნამდვილ ძალას ვიხილავთ“.

„სამწუხაროა, როდესაც რბოლას ფინიშამდე დაასრულებ, მაგრამ სულ არაფერს, ერთი ქულა მაინც სჯობს — ფილოსოფიურად მსჯელობს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი კიმი რაიკონენი, ვისაც ეს ერთი ქულა რუბენს ბარიკელოს დისკვალიფიკაციის შემდეგ ერგო — თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მანქანა სწრაფი იყო, მაგრამ ძრავის პრობლემები შეიქმნა და ახლა ამ პრობლემების მიზეზს ვეძებთ. რა თქმა უნდა, ასეთ დასაწყისს არ ველოდით, მაგრამ უარესიც გვინახავს“.

გაცილებით უფრო დამწუხრებული ჩანდა რაიკონენის ბრაზილიელი თანაგუნდელი ფელიპე მასა: „საშინელი დასაწყისია. ძრავის პრობლემები შეგვექმნა, რაც „ფერარისთვის“ ძალზე იშვიათია“.

„ფერარის“ ძრავაში ყველაფერი რიგზე რომ ვერ არის, სებასტიენ ბურდეს „ტორო როსოს“ მაგალითზეც კარგად გამოჩნდა. ამ „წითელ ხარებს“, სწორედ „ფერარის“ გული აქვთ და ამ გულმა ფინიშამდე სამი წრით ადრე, როდესაც ამერიკული ჩემპ-კარის სერიის ოთხგზის მომგები და პირველი ფორმულის დებიუტანტი ფრანგი მეოთხე ადგილზე იყო, ბოლი გაუშვა.

არადა, ბურდემ დიდებული რბოლა ჩაატარა და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიიღო ჩასათვლელი ქულები. „ასეთი რამ არც პირველად მომხდარა და უკანასკნელიც არ იქნება. მთავარი ის გახლავთ, რომ გუნდმა დიდებული სამუშაო გასწია და არც ორი ქულაა ურიგო შედეგი“ — რაიკონენზე ნაკლები ფილოსოფოსი არც ბურდე უნდა იყოს.

საბოლოო ჯამში მეოთხე ადგილი მაინც ფრანგებს დარჩათ, ოღონდაც, არა მრბოლს, არამედ გუნდს. ლაპარაკია „რენოზე“, რომლის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ უშეცდომო რბოლა ჩაატარა და მანქანიდან მაქსიმუმი გამოწურა.

„ფერნანდოს მეოთხე ადგილი კარგი ნიშანია. ის შესანიშნავი იყო და იმედია, მომავალში კიდევ უფრო უკეთესი იქნება“ — ფრანგული საჯინიბოს იტალიელი ბოსი ფლავიო ბრიატორე ნამდვილად კმაყოფილი დარჩა, ხოლო თავად ალონსომ ასეთი კომენტარი გააკეთა: „უცნაური რბოლა იყო მრავალი გასწრებით, ინციდენტით, ავარიით, მექანიკური პრობლემებით... ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვიყენეთ და ეს დამატებით მოტივაციას მოგვცემს“.

კმაყოფილნი იყვნენ „BMW-ზაუბერისა“ და „უილიამსის“ საჯინიბოებშიც, რომელთა მრბოლელებმა, შესაბამისად, ნიკ ჰაიდფელდმა და ნიკო როსბერგმა პოდიუმზე ჰემილტონს გვერდი დაუმშვენეს.

„მშვენიერია. ჩვენ მუდმივად ვაღწევთ წარმატებებს და თანაც, მანქანას კიდევ გააჩნია ასათვისებელი პოტენციალი“ — განაცხადა ჰაიდფელდმა, ხოლო როსბერგმა, პირველ რიგში, გუნდის თანამშრომლებს გადაუხადა მადლობა: „კარგი შედეგია და დიდი მადლობა ამ შედეგისთვის „უილიამსის“ მთელ კოლექტივს. ამ წარმატების შემდეგ უფრო მეტი სურვილი გამიჩნდა, რათა ამ გუნდთან ერთად ვიყო და როგორც მრბოლი, გავიზარდო“.

კახა ლომაძე



მელბურნში „ფერარის“ ბოლიდები ტრასის გარეთ ხშირად იყვნენ

კირილ ლაზაროვი

ევროპა მხოლოდ ესპანეთი და გერმანიაა

ევროპული საკლუბო ხელბურთის ყველაზე პრესტიჟულმა ტურნირმა, ჩემპიონთა ლიგამ, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური მოიარია და ის ოთხი საუკეთესო გუნდი გაარკვია, რომლებიც ნახევარფინალურ წყვილებს შეკრავენ და ბებერი კონტინენტის უპირველესი გუნდის ტიტულის მფლობელს გამოავლენენ.

ნახევარფინალს ორმა გერმანულმა და ორმაც ესპანურმა გრანდმა უწია. ბუნდესლიგის ბინადართაგან „კილმა“ და „ჰამბურგმა“ იყოჩაღეს, პირინეელები კი „ბარსელონამ“ და „სიუდადმა“ ახეირეს.

კატალონიელებმა ჯგუფის ბოლო თამაში „პიკთან“ 28:32 დათმეს, თუმც დიდად თავი არც მოუკლავთ, რაკიღა მათი დამწევი ალარავინ იყო და თავი სამშვიდობოს ეგულებოდათ. მეორე ესპანურმა ბოლოლამ და „ბარსას“ მტერმა „სიუდადმა“ კი თავი გამოიდო და გერმანული „გუმერსბახი“ 25:23 დაამარცხა. „ჰამბურგი“ „პორტლენდს“ 32:32 დაშორდა და მომდევნო ეტაპის საგზურიც ჩაიჯიბა. ნახევარფინალში გასული გუნდებიდან ყველაზე მეტად „კილმა“ მოინდომა და „ადემარი“ 32:26 მიანგრია. მასპინძლებს ანდერსენი შვიდით, ხოლო კარაბატიჩი 6 გოლით შეეშველნენ, მომხვდურთაგან კი სტრანოვსკი გამოირჩა 9 ზუსტი დარტყმით, თუმც სულ ტყუილად.

მეორე ჯგუფური ეტაპის მთავარი მეგოლე ოსიგერანჯელი ლაზაროვი გახდა 82 გოლით, მას 76 ბურთით ბოჟინოვიჩი მიჰყვება, ხოლო მესამე ადგილი ლავრელმა აბალომ დაიკავა.

ლევან მაისურაძე

ჩემპიონთა ლიგა. კაცები

მეორე ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური

I ჯგუფი

კილი (გერმანია) — **ადემარი** (ესპანეთი) 32:26

ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) — **ლავრი** (საფრანგეთი) 41:31

კილი	6	5	0	1	191:160	10
ჩეხ. მედვედი	6	3	0	3	183:176	6
ადემარი	6	3	0	3	173:171	6
ლავრი	6	1	0	5	173:213	2

II ჯგუფი

მონპელიე (საფრანგეთი) — **გორენიე** (სლოვენია) 29:26

სიუდადი (ესპანეთი) — **გუმერსბახი** (გერმანია) 25:23

სიუდადი	6	5	0	1	167:148	10
გუმერსბახი	6	3	0	3	179:170	6
მონპელიე	6	3	0	1	175:179	6
გორენიე	6	1	0	5	156:180	4

III ჯგუფი

პორტლენდი (ესპანეთი) — **ჰამბურგი** (გერმანია) 32:32

ფლენსბურგი (გერმანია) — **ოსიგერანჯე** (ხორვატია) 36:29

ჰამბურგი	6	3	2	1	187:180	8
პორტლენდი	6	2	2	2	179:177	6
ოსიგერანჯე	6	3	0	3	170:177	6
ფლენსბურგი	6	1	2	3	176:183	4

IV ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი) — **პიკი** (უნგრეთი) 28:32

პივოვარნა (სლოვენია) — **სვენდბორგი** (დანია) 30:30

ბარსელონა	6	4	0	2	194:174	8
სვენდბორგი	6	3	1	2	184:184	7
პიკი	6	3	0	3	169:176	6
პივოვარნა	6	1	1	4	172:185	3

ჭანტურიას მეტალევროპა სლოვენიაში დასრულდა

რევაზ ჭანტურიას მაკედონიურმა „მეტალურგმა“ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში სლოვენიურ „კოპერთან“ დიდი ანგარიშით, 19:31 წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. ჩვენებურის გუნდმა პირველი მატჩი 27:24 მოიგო და საკუთარ გულშემატკივარს იმის იმედი დაუტოვა, რომ ნახევარფინალში გაღწევდა, თუმც მეორე შეხვედრა სლოვენიელების კარნახით წარიმართა.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი 14:8 მოიგეს, მოდუნება არც მერე უფიქრიათ და „მეტალურგს“ 12 ბურთით აჯობეს. ჭანტურიამ, რომელმაც პირველ მატჩში 5 გოლი გამოაცხო, ახლა მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა. „მეტალურგს“ კი ისღა დარჩენია, შინაურ პირველობას მიხედოს, სადაც ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს.

ლევან მაისურაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეჟუაშვილი, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge